

ଓର୍ବିନ୍ଦୁ
ଶକ୍ତିପାତ୍ର



შურილი „გეგმილისა“

I	სურათი: მე ქაჯები მეგონა, თურმე თაგვები ხრამ- დენ ჩემს წიგნს	66
II	პასუხი ბედისა. ლექსი. შით მღვიმებისა	67
III	ცხენის ერთგულობა	69
IV	მხიარული თუთიყუში	71
V	პატარა მონაცირენი. აჭ. გეგმაშემდისა	73
VI	გმირი დერციკი. ზღაპარი (დასასრული) ად. ნათაძისა.	77
VII	შოკოლადი (თარგმანი) — კუდრაჭასი.	84
VIII	კრა-გიულა (ქვის საუკუნის პატარა ქალი) ფრან- გულიდან — ეჭ. მესნისა	87
IX	წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, სამათემატიკო გამოცანა, ჩქარა გამოსათქმელი და სხვა.	95
X	გიორგი წერეთლის ხსოვნას. გ. ქუჩიშვილისა.	97
XI	ჯამი აივსო! ეჭ. გაბაშვილისა.	98
XII	მუსიკალური დასაკრავები საქართველოში. გ. ლე- ნიძისა	106
XIII	დაღუპული მეზღვაური, დასასრული — ცქვირისა. .	110
XIV	წერილების და ფოსტის გაგზავნ-გამოგზავნის ის- ტორია ბერლინისა. თარგმანი ად. ფადაფასი	119
XV	ამბავი ერთი კაცის (ცხოვრებისა (თომა ალვა ედი- სონი))	124

კუჭილის რედაქციაში ისეიდება ახლათ დაბეჭდილი:

მცენარეები და ცხოველები

ცხელი ქვეუნებისა. (დასურათებული)

ნება დართული კავკ. ოლქის მზრუნველისაგან
სკოლებში სახმარებლათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკი



საუმაწვილო ნახატებიანი
ქურნალი.

იშარდე, მწვანე ჯეჯოლო,
დაპურდი, გახდი ყანაო!

ი. დ.

თებერვალი, 1914 წ.

♦ წელიწადი მეოცდანუთე ♦

თბილისი
ელექტრომშემდეგი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1914



— მე ქაჯები მეგონა, თურმე თაგვები სვლამდენ ჩემს წიგნს.

პასუხი ბედისა.

(ვუძღვნი ვაჟა-ფშაველას)



ითხარ, ბალდო, რა გაწუხებს,
რასა სჩივი, რასა სტირი?

ჯერ ხომ ისევ პატარა ხარ,
განა რა გაქვს გასაჭირი?

იქნებ რამე დაგეპარგა,

ემებე და ვეღარ ჭირვე?

ან გამოხველ დედის ჩუმათ

ისე, რომ არ დაეთხოვე!

ან იქნება მასწავლებელს
უნებურად გაეპარე,

რომ ტოლებთან ერთად, ცელქო,
მოგერბინა არემარე?

— არც ერთი და არც მეორე,

უფრო მეტად არც მესამე,

მაწუხებს და მავალალებს

სხვა დარდი და სხვა კვინესა მე!

დღეს დილას რომ კლასძი მივეღ
ნახევარ წლის ფული მთხოვეს

და რადგანაც არა მქონდა,

აიღეს და დამითხოვეს!

— მაგაზე რა გაქვითინებს
ერთი მითხარ, შე სულელო,



გაიქე და უთხარ მამას,
 დორო რად გინდა გააგრძელო!
 — მამა სად მეავს, მარტოკა ვარ,
 მშობელ დედის ანაბარა,
 ისიც ლუკმის გულისათვის
 სარეცხს რეცხავს ჯარბდა-კარა.
 — სულ აზარ გეავს, თუ ფულისთვის
 საქმე შორს სამ დაიჭირა?
 — არა, უღვთო ხალხის დევნით
 თავი სადღაც გაიწირა.
 — ბიძა? — ეჭ, ის ტკბილი ბიაც
 მნელ სამსახურს შეეწირა:
 ორთქლა-მავალმა ინაცვალა
 არ იქნება ერთი პვირა.
 — სსვა? — ბიძიავ, აბა ვინ სსვა!
 — აფარვინ გეავს განა სულა?!
 — თუ ვინმება თავისათვის
 თბილად, ტკბილად მიკუნჭულა.
 — მაშ ასეა! რა უნდა გქნათ,
 ბალლო, ვაი ჩვენი ბრძლი!
 რაღა უბედო გაცს შემხვდი!
 შენც საწეალი, მეც საწეალი...
 გულით მდიდარს, ჯიბით ღარიბს.
 ნუგეშიც კი გაუჭირდა
 და საბრალოს ბალლთან ერთად
 გული მწარეთ აუტირდა...
 შოთ მღვიმელი.

ცხენის ერთგულობა



რაბთა თემის უფროსი, შეიხი,
ერთხელ ომის დროს მეზობელ
 თემებმა დაატყვევეს, მას ხელ-
 ფეხი მაგრათ შეუკრეს და კარ-
 გის წინ დააგდეს. შეიხს ტკივილე-
 ბი ისე აწუხებდა, რომ მთელი წა-
 მე მიღი არ მიჰყარებია.


უეცრათ მას თავის ცხენის ფრუ-
 ტუნი შემოესმა. შეიხს მალიან მოუნდა ერთი უკანას-
 კნელათ მიეალერსნა, გადაესვა ხელი თავისი საეგა-
 რელი ცხენისთვის. დიდი ვაივაგლახით მიფოფხდა
 ცხენთან, რომელიც აქვე ჲახლო იუ დაბმული და
 ალერსით მოუევა:

— საწუალო მეგობარო, დღეის იქით აღარ იქ-
 ნები შენ ისე თავისუფლათ, ლაღათ, როგორც აქამ-
 დის. ჩემი ცოლი, ჩემი ძვილები თავიანთ ხელით
 აღარ გაჭმევენ ქერს, აღარ დაგალევინებენ რძეს. ქა-
 რივით თავისუფლათ ვეღარ ინაგარდებ მინდორუელ-
 ზე და სამშობლო ჭარით ვეღარ დასტკბები. მე აქ

მონათ გამსდიან, შენ მაინც განთავისუფლდი, თავს უშეველე, ჩემებთან გასწი, ჩემ ცოდნს უთხარი, რომ მე ტუგეთ ვარ და ვეღარ დაუბრუნდები ოჯახს, თას ვი შეჰქავ კარავძი და ჩემ საუგარელ შეილებს ხელები აულოკე.

შეიხს ხელუფები შეკრული ჸქონდა, მან კბილებით გადაღრდნა ცხენის აღვირი და გაანთავისუფლა იგი. ცხენმა მართალია იყრმნო თავისუფლება, მაგრამ ადგილიდან არ დაიძრა. ცოტა ხანს დასცერა თავის პატრონს, მერე უცდად დასწვდა მას, ტანისა-მოსში პირი მოავლო, აირაცა და ქარივით გაექანა შინისკენ.

შეუსვენებლივ მიჰქოდა ცხენი, გადაიარა ბევრი ველ მინდვრები, სანამ ძლიერებლივობით არ მიიტანა პატრონი ბინამდინ; იქ ცოდნაშვილს წინ დაუდო ტუგე და თითონ კი დაღალვისაგან სული დადია.



მხიარული თუთიეუში



ოთ ჩემ ნაცხობს ჭევვდა ნაცრის
ფერი თუთიეუში. მას მალიან
უევარდა სიცილი და ბევრი ლა
ჰარაკა.

— ოჲ, ნუ მაცინებთ, დაი-
უვირებდა ის, — ნუ მომკლავთ
სიცილით, ნუ მომკლავთ! და ისე
გადისარხარებდა, რომ უნებ-
ლიეთ უველანი სიცილს მოჲ-
უვებოდენ. სან კი ტირილს და

იწებდა. რომ გეპითხათ:

— რა იუო, ჰეტო, რა დაგემართაო:

ის სწრაფლათ გიჩასუხებდათ:

— ცუდათა ვარ, გავცივდი! და მორთავდა ტი-
რილს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამოიოსრებდა და იტ-
უდა:

— ახლა კი უკეთა ვარ; და მორთავდა კისკისს.

თუ მასთან ვინმე დაახველებდა, ან ცხვირს მო-
იხოცავდა ის მიამახებდა:

— გაციებული ხარ!

კატას უმახოდა: ფისო, ფისო! და მერე თითონ-



— იცი, რა გითხრა, გიგლა! მოულოდნეულო
შესძახა სანდომ. — მოდი ერთი შვილდაისარი გავა-
ქოთოთ და ბედურებზე ვინადიროთ.

— კარგი იქნება, კარგი! სიამოვნებით მიუგო
გიგლამ, რომელიც ქალამნის თასმას ისტორებდა ფე-
ხზე. — ჩვენ რომ შვილდ ისრების გაგეთება არ ვი-
ცით? ვინ გაგვიკეთებს?

— ვინა და ჩვენებიანთ თედო გაგვიკეთებს, მა-
ლიან გულგეთილი მოხუცია და უარს არ გვეტუვის—
მიუგო სანდომ.

და პატარა ცელქები საჩქაროთ გაეშურენ თედოს
ქოხისკენ.

თედო წელში მოხრილი მოხუცი იქო. მას თა-
ვის ახალგაზრდობაში ბევრი ჭირ-ვარამი გადახ-
დოდა თავს. ბევრი ვასვავლასი გამოეცადნა: ერთად
ერთი ვაჟი-შვილი, რომელზედც მზე და მთვარე ამო-
სდიოდა მოუკვდა ამ ერთი წლის წინეთ. — რაფა
ჩემზედ მოიცალა იმ დალოცვილ ღმერთმა! — წაილუდ-
ლუდებდა სოლმე თედო, ის უოველთვის მიუჯდებოდა
ბეხარს და ჩიბუხის წევით იუოლიებდა თავს. უეც-
რივ მის ქოხში შემოცვიყდენ სანდო და გიგლა.

— ბაბუას გაუმარჯოს, ბაბუას! როგორა ხარ,
ბაბუა! შესძახეს პატარა ბავშვებმა.

— თქვენ გაეზარდეთ თქვენ პატონს. როგორ
ვიქნები! გარ დგთისაგან მომულებული! თქვენი ჭიკ-
ჭიკით გამახერეთ. ჩდგვლიანათ თქვა მოხუცმა.

— მე და გიგლა გთხოვთ მალიან, ბაბუავ,

შვილდისრები გაგვიკეთე, გვინდა ბეღურებზე ჰინდუსტრიალისა
დიროთ.—უთხრა სანდოობ.

— მერე არ გეცოდებათ ბეღურები. კარგი, გა-
გიკეთვის, მხოლოდ მსხვილი თხილის წნელები მო-
მიტანეთ.

უმაწვილები გაიქცენ და ერთი საათის შემდეგ
შემოუტანეს წნელები და თედომ დაუჭარებლივ გაუ-
კეთა მათ შვილდისრები. სანდოოს და გიგლს სი-
სარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ჰაგარა ცელქებმა-
მადლობა გადაუხადეს, გამოეოხოვენ ბაბუას და გა-
სწიეს სანადიროთ.

— იცი, ო გითხრა, გიგლა! ჩვენებიანთ საბმელი
ში შედამ დღე აუარებელი ბეღურები არიან, წადი
იქ, ააფრინე და მე ვესვრი ისარს, უთხრა სანდოობ.

გიგლა მიგიდა საბმელთან ფეხ-აკრეფით, თან
შვილდისარი მოიძართა. კარებას გადებისთანავე ბე-
ღურები გულ-გახეთქილი საბმლიდან გამოფრინდენ
და იქვე მახლობელ ღობეზედ შემოსხდენ. საწელები
შოუსვენრია აქეთიქით ათვალიერებდენ თავიანთ მეუ-
ღროების დამამრღვეველთ, მაგრამ თვალი გერსად
მოჰკრეს.

— გიგლა, გიგლავ! ჩურჩულით და ხელის ქნე-
ვით ანიშნა სანდოობ.—შენ, იქ მარჯვნივ რომ სხე-
დან, ისარი იმათ ესროლე და მე ამათ ვესვრი.

— კარგი, კარგი! თავით ანიშნა გიგლამ.

სანდოო მიეპარა ერთ განცალკევებულით მეოფ-
ბეღურას, რომელსაც თითქოს ადრევე ეგრძნო
თავის უბეღურება და თავ ჩაქინდრული გაუზმრევლათ.



იჯდა. სანდომ ეს ბეღურა აძლილო ხიმაში და სტერცნა ისარი. საბრალო მაძინებე დაუცა მირს.

— მოვკალი, მოვკალი! ეს ერთი და სხვა ათასი! გარბოდა სანდომ და თან უკიროდა.

ბეღურა მიწაზე ეგდო. სანდომ აიღო, ხელის გულზე დაისვა და დაუწეო შინჯვა თუ ისარი სად მოხვდა.

— უოჩაღ, სანდომ, უოჩაღ? აბა მიჩვენე, სად მოხვდა! და გიგლა ხელიდან აცლიდა მას ბეღურას. საბრალო ბეღურა კი ფეხებს აფაროთხალებდა და თვალებს სუჭავდა — წუთისოფელს ესალმებოდა. მერე მან მო იკრიფა უგანასკნელი ძალუღონე, თვალი გადააგლო ამ თავის მტრებს, აიწია ზემოთ, თითქოს გასაფრენათ მოემზადაო, მაგრამ ისევ სანდომს ხელის გულზე დაუცა. მერე ერთი კი გადახედა თითქოს საუგედურით ემარტვილებს და სული დალია. სანდომ თოვლზე მიასვენა ბეღურა და ხადგვლიანათ გადახედა გაგლას. ამათ გული აეჭროთ სიბრალულით, გრძნობდენ თავს დამნაშავეთ და წამოიძახეს: — რას ვერჩოდით ამ საცოდავს, რათ მოვკალით. განა იმას კი არ გაუხარდებოდა თავისუფლათ მინდორჭალები ფრენა!

დიდ ჰანს, მალიან დიდხანს იღვენ ჰატარა მონადირენი მკვდარ ბეღურას წინ, თითქოს ესალმებოდენ მას.

მას აქეთ ამათ აღარ უნადირნიათ არც ერთ ფრინველზე და სხვებსაც უშლიდენ — ცოდვანი არიან, ხელს ნუ ახლებთო!

გმირი დერციკი.

ზღაპარი.

(დასასრული)



არა, ბევრი იარა და რის გაი-ვაგლახით მივიდა ერთს ქალაქში. ამ ქალაქში სცხოვრობდა ერთი ხემწიფე, რომ გლისაც მშვენიერი სასახლე ედგა და წინ საუცხოვო ბაღი. მიხო ძევიდა ამ ბაღში და მოგზაურობდა დადალული წამოწვა ერთს ხის მირში და ტებილათ ჩაიძინა... სასახლის კაცებმა თვალი მოჰკრეს ამ უცნაურ სტუმარს, აათვალ-ჩაათვალიერეს, ქამარზედ რჩც ეწერა, ისიც წაიკითხეს, შემინებულები გაიქცნენ და მეფეს ეს მოახსენეს:

— დიდებულო მეფევ, შენს ბაღში ვიღაც კაცი შემოარელა, ტანათ პატარა, მაგრამ, როგორც ეტუ კაბა, გმირი და მამაციაო. ქამარიც კი გაუშინვათ და ასეთი წარწერა წავიკითხეთ:

,„ერთი ხელის გასმითაო,

შვიდივენი გასრისაო“.

უაჩალი კაცი უნდა იუვეს და მოდი, მეფევ, თქვენს ჯარში მიიღეთ იგი ჭარის კაცათაო; თქვენ მალე ომს აპირობთ და ეგ კაცი გასახელებს ომშიო.

მეფეს ეს წინადადება ჭკუაში დაუკადა და უბრძანა მოექვანათ იგი კაცი. მიხო წარუდგინეს მეფეს...



მეფემა ჰქითხა: — ვინა ხარ, სადაური ხარ და რეზენტორი,
ხამეფომი, რამ მოგიუვანაო?

— ვინა ვარ, სადაური ვარ, მაგაცედ კი ვერა-
ვერს მოგახსენებო, უთხრა მისომავრ — ამ ჩემი გმის
რობის ამბავს კი აი ეს ქამარი გეტევისო“.

მეფე ქამარს დაკვირდა და ეს სიტევები ამოი-
კითხა:

,,ერთი ხელის გასმათაო,
შვიდივენი გასრისაო“.

გაკვირდა მეფეც და უბრძანა: „ჩემს ჯარში ჩა-
წერეთ“. მიხომ მოახსენა: — ეგ მალიან კარგი იქნე-
ბა, რადგანაც მე იმისთვის დავდივარ, დავეხეტები,
რომ ერთი კიდევ რამ გმირობით თავი გისახე-
ლოო.

მიხო ჯარისკაცათ ჩასწერეს, ბინა სასახლეში
მისცეს და მეფის საეგარელ კაცათ გახდა... რამდენი-
მე ხანი ასე ტკბილათა სცხოვრობდა მიხო, მაგრამ
კარგს ცხოვრებასაც დასასრული ჰქონია: მეფის მხლე-
ბლებს შემურდათ მეფის ასეთი კარგი განწეობილება
მოსულ კაცთან... გადასწევიტეს, როგორმე მოიშო-
რონ იგი თავიდან და მეფის გული ამითვე მოიგონ.
დაიწევეს მეფესთან მისგლაამოსვლა, მიხოს ბეჭდება,
შერისძიება და მეფე იქამდის მიღევანეს, რომ ამანაც
გადასწევიტა ამ კაცის თავიდან მოშორება... უმიზე-
ზოთ ხომ არ დაითხოვდა და მეფემ მიმართა სხვა
და სხვა საშუალებას. ერთხელ მოიხმო იგი და უთხრა:
— მალიან მეცოდები, შვილო, მაგრამ ერთი წინადაა
დება უნდა მოგცე და თუ ამ სურვილს შემისრულებ,

ჩემს ქალს შენ მოგცემ ცოლათაო და ნახევარ სახეშემუშაოთან... წიფოს მზითვათაც გამოვატანო... ჩვენს ტექში ერთი უშველებელი მარტორქა დაქეტება და იმის შიშით ჰევით ფრინველს ვერ გაუწაწანია და ქვეით ჭიან-ჭიელათაო და აბა კაცს რაღას უზამსო. წადი, მოჟკა-ლი ეს მხეცი და შენი ვაუკაცობით მეც გამახაოე და შენს თავსაც უფრო დიდი სახელი მოუხვეჭეო. მეფეს ეგონა იმ წინადადებით შეაძინებდა მიხოს და თავიდან მოიცილებდა.

— დიდი სიამოვნებითო, მოახსენა მიხომ— სწო-რეთ რომ მაგისთანა საქმეს ვეძეფო. იმავე წამს მი-ხო შეუდგა მზადებას.

მეორე დღეს, ჯერ არც კი იუთ გათენებული, რომ მიხო წამოდგა; გზის საჩვენებლათ რამდენიმე შეომარი წაიგვანა და გასწია იმ ტეისაკენ; ერთი დღუ-ღამე იარეს და ბოლოს მივიღნენ იმ აღვილას, სა-დაც მარტორქა ეგულებოდათ. მიხომ ამ საძინელ ცხო-ველს ძორიდან თვალი მოჟკრა... მეომრები ძიძისა-გან იქვე ჯაგებში მიიმალ-მოიმალნენ. მიხო კი ვაუ-კაცურათ წავიდა მარტორქისაკენ. მარტო-რქას დაქნასა და, როდესაც იგი გამოიცდა მიხოსკენ, მიხო უშველე-ბელ ხეზედ აცოცდა და იქიდან უსისინებდა იმ უზარ-მაზარ ცხოველს... მარტორქა სიბრაზით ცოლებსა ჰქონიდა, თვალები სისხლით ეცხებოდა და გაცოფია-ნებულივით დასტრიალებდა იმ ხეს. ბოლოს გადგა განხე, გაექანა და ხეს დასცხო თავისი რკინა რქა და შიგ კი გაეჭედა. ტკივილისაგან და სიბრაზით სა-შინელი ევირილი მორთო... მიხოს მალიან გაუხარ-

და, ჩამოვიდა სიდან, მარტო-რქა უძველებელი თოკით
მიაბა ხეზედ, რქას დაუწეო ხერხვა და მაღალი უფლება
გადასჭრა. ამის შემდეგ მარტო-რქა, როგორც მშვიდო
ბიანი კურდღელი არის სოლმე, ისე დაქმორჩილა ამ
კაცე... ბევრი სიარულის შემდევ მიხომ მიჰვარა ეს
ცხოველი მეფეს. მთელ ქალაქს სასახლესთან თავი
მოექარა და აქებადიდებდა ამ შესანიშნავ გმირს. მე
უ ფე კი შეკრთა: არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო,
რომ თავისი მზეთუნახავი ქალის გათხოვება ამ კაცა
ზედ აუკილებინა, მაგრამ პირობის დარღვევისა სცხვე
ნოდა. შეფერ დაიბარა ეს კაცი, ასვა და აწამა, დიდი
ჟარივი სცდა, უალერსა, გადაჭვოცნა და ასე უთხრა:
— მართლა რომ უოჩადი ვინმე ჰეთუილხარ და ვი
ნებ ჩემს ქალზედ ჯვარს დაგწერდე, ერთი ეს სურვი-
ლიც შემისრულეო: ჩემს ჭალებში ერთი ტახი გაძლი-
ჩენილა და ამის შიშით ზუგით ფრინველს ვერ გაუწა-
წანია და ქვეით ჭიანჭველასთ და აბა აღამიანს რა-
და კეთილს დააურისო“. მეფე ფაქტობდა: ახლა კი,
უმიკელია, ვეღარა გრახამ ამას ცოცხალხაო. მიხო
კი სიხარულით ფეხზე აფარ იდგა და მოუთმენლათ
მოელოდა იმ წამს, როდესაც იგი მეფის სიძეთ გახ-
დებოდა. ამან ასე მოახსენა მეფეს: — მაშ კაცი ნუ
ვეთუილგარ, თუ ის ტახიც ან ცოცხალი, ან მკვდა-
რი არ მოგიუვანოო... მეორე დღეს, კურ ბნელი ნა-
თელს არ გაძლიერდებო, რომ მიხო დერციკი გაუდგა
გზას და თან გზის საჩვენებლათ ასი მეომარი წაი-
უვანა. აქაც ბევრი იარეს, თუ ცოტა, მიადგნენ ერთ
თვალ-უწვდენ ჭალას. მიხომ მეომრები შორისახლოს

დამალა და თვითონ შევადა შუაგულ ჭალაში. მარტინი კარის გამოხატვაში და გამოჩნდა უზარმაზარი ტა-
ხი. თვალები სიბრაზისაგან გამლოდა, ხეებს ჭახა-
ჭუხი გაჭქონდა. ტახმა მიხოს თვალი მოჭკრა... გა-
ეხანა იძისკენ, ის იურ ეშვი უნდა დაერტყა მიხო-
სთვის, რომ მოხერხებული გაუგაცი იქვე ახლო სადა-
რაჯო სახლის ფანჯარაში შესტა... ტახმა სახლის
გარშემო ტრიალი დაიწუო და ბოლოს გაბრაზებული
და გაცეცსლებული შეუარდა ოთახში... მიხო ისევ
ფანჯრიდან გადმოხტა, მივარდა კარებს და გადმო-
ურაზა... ოთახში დამწევდეულმა ტახმა უშველებელი
ხმაურობა ასტესა... მიხომ მოიხმო მეომრები, დაანა-
ხა დამწევდეული ტახი და რის ვაი-ვაგლაბით მოა-
გვლევინა იგი. ასე მეომარს კიდევ ასი მეომარი მი-
უმატეს და დიდის ამბით მოკლელი ტახი შიათრიეს
მეფის სასახლემდის... აუარებელ ხალხს აქ თავი მო-
ექარა და ქება-დიდებით ამკობდნენ ამ შესანიშნავ
გმირს, რომელმაც

„ერთი ხელის მოსმითაო,

შეიდივენი დასრისაბო“.

უკვირდათ ამის გმირობა, ამისი ვაჟ-კაცობა!..
შეუც გაოცებულიუო ამ ამბით... აღარ იცოდა, რა
ექნა... მეტის-მეტათ ენანებოდა თავისი საუვარელი
ქალი გაეთხოვებინა ამ კაცზედ, მაგრამ დაპირების
აუსრულებლობა მეფისთვის კარგი საქმე არ იუო.
მოიხმო მესამეთაც მიხოვგმირი და ასე უთხოა მას:
— „გმირთა-გმირო, ჩემო საუვარელო შვილო, შენი
ვაჟკაცობა გულს მისარებს, ერთი ორათ მამსნევებს...“

შენ არამც თუ დირსი ხარ ჩემი ქალისა, არამც მას ფის გვირგვინოც კი დაამშვენებდა მაგ შენს გამლილ შებლსაო!.. გაწვალებ კია, მაგრამ, ვინებ ჩემს ქალს შენზე გავათხოვებდე, ერთი სათხოვნელიც უნდა ამის რულო: ჩემს არე-მარეში ორ ღევს მოუკალათნიათ და ზევით ფრინველს, ძირს ჭიანჭველას არ აჭაჭანებენო და აბა კაცს რაღას უზამენო!.. წადი მოჰკალი ეს ორი ღევიც და შენი გმირობით მეც გამახარე და შენც უფრო დიდი სახელი მოიხვეჭო“.

— ძალიან კარგიო, უპატუხა მიხომ, — ეგეც აღვილდ ჰამსახურიათ, ოდონდაც გზის მაჩვენებელი გამარანეო.

მეორე ღღეს, ღილა ადრიანათ, მიხო გაუდგა გზას. იარა, ბევრი იარა, ცხრა მთა გადაიარა და მიადგა ერთს ტექს... მიიარამზარ ხის ძირში ორ ღევს სძინავთ. მათი ხერინვა მთაზა და ბარს აჯერებდა... მახომ ჯიბე და უბე ქვებით გაიტენა და ავიდა იმ ხეზედ, რომლის ქვემათ ამათ ეძინათ... კარგა რომ მოიკალათა ხეზედ, ამოიღო ერთი ქვა და ჩამოისროლა ძირს. ერთს ღევს შიგ შებლში მოხვდა... ამას ის ეგონა ჩემია ამხანაგმა გამარტებო და ასტესა ერთი ვაიუშველებელი, შეუტია მძინარე ამხანაგს: — აბა, რომ მცემ, რასა მცემ! თუ კიდევ გაგიბედნია მაგ ბოხვერა თავს გაგიჩეჩქამო!.. მეორე ღევმა უპატუხა: — აბა, რომ ცხარობ, რასა ცხარობ, მე შენთვის არაფერი დამიშვებიათ“! დამშვიდდენ ისევ ისე და მიიძინეს. მიხომ ერთი ქვა კიდევ ჩამოისროლა და ახლა მეო

რე დევს მიგ საფეთქელში მოარტეა. წამოხტა ეს დევი და მიგარდა ამხანაგს: — რომ მცემ, რასა მცემ, მე შენი გაზრდილი ხომ არა ვარო... თუ ჩეუბის გუნებაზე ხარ, ვიჩეუბოთ და კარგ დღესაც დაგაუენებო“.
იწეინა ეს მეორე დევმა წამოხტა და ერთი კარგი მუკლუგუნი გაჰქონა თავის ამხანაგს... წამოხტა პირ კელი დევიც და დაიწეო მათ შორის ბრძოლა, მაგრამ რა ბრძოლა: ხეებს ზანზარი გაჰქონდა, დედამიწა ინმრეოდა. კარგა ხანს იბრძოლეს და მეორე ორი ვენი მკვდრები დაეცნენ დედამიწაზედ. მიხო სიხარულით კინაღამ ხიდან ჩამოვარდა... ჩამოვიდა, მოუწოდა თანამხლებლებს, აჩვენა თავისი გმირობის შედეგი და უთხრა: — ხომ ხედამთ, რა გმირობა გამოვიჩინეო:

„ერთი ხელის მოსმითაო,
ორი დევი გაგსრისეო“.

— წადით ახლა და ეველა აქ ნახული მეფეს მოახსენეთო. გაუდგნენ გზასა და მივიდენ სასახლეში. გა მობრძანდა მეფე და ეველაფერი ნახული და გაგონილი მოახსენეს მას... მეფესაც შერცხვა თავისი ქცევისა, მოუწოდა გმირთა-გმირს მიხოს, გადაჰქოცანა და მეორე დღეს ისეთი ქორწილი გადაუხადა, ისეთი, რომ ჩიტის რძეც კი ამშვენებდა მეფის სუფრას. მერე მეფეთაც გამოაცხადეს და დღესაც კი ლაპარაკობენ მის გმირობაზედ და გამჭირიახობაზედ.

ალ. ნათაძე.



მოვლაზაზი



ატარა ქალი შოკოლადის ჭა-
მით მაღაზიდან გამოვიდა.

— რასა სჭამ, გოგონა? ჰკო-
თხა ერთმა უცნობმა ბავშვს.

— შოკოლადის, მიუვო ბავ-
შვა და ტუჩები გემრიელათ გა-
აცმაცუნა.

— შოკოლადი რა არის?

ბავშვი ერთ წამს დაუიქრდა და მეორე გადაჭრით
უსასესა:

— შოკოლადი ისეთი, ისეთი გემრიელი რამ-
არის, რომ მისი ჭამა მაღიან სასიამოვნოა.

უცნობმა კაცმა ბავშვს ხელი მოჰყიდა იმ ხელზე,
რომელიც შოკოლადით არა ჰქონდა გათხუნული,
მეცვანა ბაღში, გეორგით მოისვა და მოუსვა შოკო-
ლადის ამბავს:

„კარგა სანია მას შემდეგ, რაც ერთმა კაცმა
სახელათ ქრისტოფორე კოლუმბმა ახალი ქვეყანა
აღმოაჩინა, სახელათ ამერიკა და აი ამ ამერიკაში
იზრდება კაკაოს ხე. ეს ხე მაღიან უცნაურია:
მთელი წელიწადი რიგორიგად ისხამს კვირტებს,
ჭანჭილებს და ნაუოფი გამოაქვს. ამერიკელი ინდოე-

ლები ამ ხის ნაუთეს — პარკებს ჸერეფდენ, მერე ციტატა არ გვითვალისწინავთ, ხლეჩდენ და იქიდან თესლს, მარცვლებს იღებდენ, ამობდენ და ისე სჭამდენ, როგორც ჩემ ცერცესა ვჭამთ. როდესაც კოლუმბი ამერიკიდან შინ ისპანიაში დაბრუნდა ჯიბით რამოდენიმე ამ კაკაოს მარცვალი წამოიღო.

„ბევრმა ხანმა გაიარა და 1657 წ. ერთ ერთ ინგლისურ გაზეთში ასეთი განცხადება იყო: „გვინს-სედის ქუჩაზე, ერთ ფრანგის ოჯახში იუიდება საუცხოვო სასმელი — შოკოლადი. ფასი სელ-მისაწვდენია“.

„ორმოცდა ათი წლის შემდეგ ინგლისის მაზარ წრეებში შოკოლადი მაღაზიან შემოიღეს და თავ თქმის არ მოიპოვებოდა ისეთი ქალაქი, სადაც ცალკე მაღაზიები არა უოფილიყო ამ გვარი სახელით: „კაკაოს სე“. ასე დაიწეს ინგლისელ მდიდრებმა შეუგნებელ და დაბეჩვებულ ინდოელების სასმელის სძა-

„ეხლა კი, არ არის არც ერთი კუთხე დედამიწაზე, რომ შენისთანა გოგონები და ზატარა ბიჭები ფულით ხელში არ შედიოდენ მაღაზიაში და არ გამოჰქონდეთ ინდოელების შოკოლადი და პირს არ იტგბანურებდენ.

„ამის შემდეგ რომ ვინმებ გვითხოს, ვინ არის დედამიწაზე უგელაზე გამოჩენილი, დიდებული კაციო, დარწმუნებული ვარ, რომ შენ შოკოლადით გათხუნულ ტუჩებით წამოიძახებ: „კოლუმბიო“ . როცა შენ ეხლა შაურიან შოკოლადს გემრიელათ შეექცევი უნდა იცოდე, რომ ეგ ოდესლაც უბრალო მარცვალი იყო



და ათი ათასი ვერსის სიმორეზე პატარა უფრო გრძელი სიმორე ხელში ება.

იქ ზანგი, დიდი მოკაუჭებულ ჯონით ხელში, სიმღერით უახლოვდება კაკაოს ხეს, ჯონით ჰერის ხიდან კაკაოს პარკებს და იქვე მიწაზე გასამრობათ სტოვებს. შეორე დღეს, ახლა მეორე ზანგი ჩალის ქუდით და ზოლიან შარვლით იღებს მიწიდან ამ პარკებს, ხლეჩს, ხსნის, აცლის თესლს, აწეობს გალათაში და სიმღერითვე მიაქვს. შემდეგ კალათას ორმოძი ინახაძს, სანამ დრო არ დაღვება ჩვენ ქვეუნებში გამოსაგზავნათ. როდესაც ჩვენამდინ მოადწევს, აქ სალამენ, მერე დაფევენ და ამისგან ნაწილს მოკოლადათ აკეთებენ შაქრის შემწეობით, ზოგს კი კაკაოთ ამზადებენ სასამელათ.

„იმ დღილას რომ მიხეიდე შოკოლადის საუიდან ლათ სადაც კაკაოს ხე იზრდება, შენი შაურიანი შოკოლადი 500 მანეთათ დაგიჯდება.

გოგონამ გაიცინა. უცნობმა განაგრძო:

— მერე იცი, რომ მაგ საქმეს თავს ადგია ათასი ზანგი, მრავალი გემის გამკეთებული და რკინის გზის ინჟენერები, მრავალი ღურვლები რომელნიც ამზადებენ ეუთებს ნაუოფის გადმოსატანათ, აურებელი მეზღვაურები და ურიცხვი უბრალო მუშები.

აბა, ეს უველავერი არ უნდა დაიგიწეო, როდესაც შეექცევი მაგ შოკოლადს.

კულრაჭი.

(თარგმანი)



პრა-გიულა

(ქის საუკუნის შატარა ქალი)



რაგიულა იჯდა დიდ ქვაზე ცეცხლის პირას.
 კრა-გიულა მოწევნილი იყო. ის წინა
 დღით მომხდარ სამწუხარო ამბავზე ფიქ-
 რობდა: მისი პაპა, გროვო, მონადირე, მთელი თუ
 მის უფროსი დასაფლავები იმ გამოქვაბულში, რომე-
 ლიც იუო მკვდრებისათვის, მათ მოსახლეებთან ახლოს.

გროვო დათვის ტუავში გამოწეობილი საფლა-
 ვის ქვაზე დასვენების, სარტყელში გათლილს ქის ცუ-
 ლი ჩაურჩეს და გვერდით მისი შუბი, რომელიც გა-
 თლილი კაჟისა იყო. ამით ჩვეულებათ ჭერნდათ, რომ იმ
 ქვეეანაში, საცა ეხლა ის მიემგზავრებოდა გროვოს
 უნდა თავი დაცვა და ეჩვენებინა, რომ ის მამაცი და
 მარჯვე კაცი იუო. ამ იარაღთან ადამიანმა არ და-
 ვიწეა შესაფერი საგზალიც გაეტანებინათ: იმას გვერ-
 დით დაუდგეს დიდი ირემი, რომელიც ამის პაპას
 მოექლა.

ბოლოს გამოქვაბულის შესავალთან უქანასკნელი
 ნადიმი ცხედრის თანადასწრებით გამართეს. ქელე-
 ზე მთელი თემი, რომელიც იმას შვილებისაგან,
 შვილი-შვილებისაგან და შვილის-შვილის-შვილებისა-
 გან შესდგებოდა, დაესწოო.

კრა-გიულა მოწევნილი იყო, ობლათ დარჩა, გრო-
 ვოს ის მალიან უკვარდა.



გებოდა იმ საშინელ დათვთან ბრძოლა — ტანძი უწყებულისა, ტელს გაუვლიდა ხოლმე.

ეს უზარმაზარი დათვი საშიშარი მტერი იქო. ამ სამი წლის წინათ გროვჭოს ნათესაობამ ეს დათვი ამ გამოქვაბულიდან განდევნა და თითონ დასახლდენ. ეს გამოქვაბული ანგარა მდინარის პირათ იქო და ნადირით საჟე ტეის მახლობლათ.

დათვი ბუტბუტით და მუქარით ხშირათ მოდიოს და ხოლმე თავის ბველ ბუნაგთან. თუ ამ დოოს ვაჟ კაცები შინ არ იუნენ, დედაკაცები და ბავშვები კარში გამოსვლას ვერა ბედავდნენ.

ეს საშიშარი, ფრთხილი და ემმაკი შეცი ვერც ერთ საფანგს ვერ მოხვდა და მასთან პირის პირ სა ბრძოლველათ კი გამოსვლას ვერავინ ვერ ბედავდა. ერთხელ გროვჭომ მაინც გაბედა: დათვი ერთ დედა კაცს დაეტაკა, გროვჭო იქ იქო და კაუის გალუსილ ცულს წვდა, თუმცა იმ დოოს უველა გამოქვაბულიდან, უფრო მამაცნიც კი, შიშისაგან თავზარ დაცემულნი, მასთან მიახლოვებას ვერ ბედავდნენ, ამის პაპა კი შეცისაკენ გაექანა, დათვი უკანა ფეხებზე შედგა, თავის მტერზე ბევრათ უფრო მაღალი იქო და ოოდე საც პაპამ ცული ღონიურათ მოუქნია შიგ გულში — დათვი მივარდა, გროვჭო ფეხებუქვემ ჩაიგდო და დასხრო. შემდეგ დამშვიდებული დათვი ბინდით მოცულ არე მარესაკენ წავიდა.

ეხლა გროვჭოს სამუდამოთ სმინავს და კრაპიულა კი ჩაფიქრებული თავს ობლათ გრძნობდა. კაცები საფანგებისაკენ წავიდნენ, სადაც დღიური საზრდო

ეგულებოდათ. ღეღაკაცები და ბავშვები ტექმი გაემზადებოდა, თნენ ხმელ ტოტების მოსაგროვებლათ, რომელიც ცე-
ხლის მოსაკიდებლათ ესაჭიროებოდათ.

მზემ მთისაკენ გადიწურა და თავისი ძუქი გამო-
ქვაბულში შემოანათა. კრისტიანულა წამოდგა; წარბებ-
მოდუმული, სასტიკი შეხედულება ჰქონდა, რომელიც
ამტკიცებდა, რომ ის რადაც განზრახვას დაადგა.
კვების ტეავის ტანთ საცმელი მალიან უხდებოდა,
მერე გამოეწეო სამგზავროთ: წელზე დაწნული ფოთ-
ლების სარტყელი ერტეა, გრძელი თმები უკან გამს-
მარ მცენარებით ჰქონდა შეკრული. ის ცამეტი წლისა-
იუო, მაგრამ მაპინდელი ქვის საუკუნის გვარად სულ
მომრაობაში და გარეულ მხეცებთან ბრძოლაში აგებუ-
ლება მაგარი შეექნა.

კრისტიანულამ ერთი ხმელი ტოტი ცეცხლში ჩა-
აგდო, ცეცხლი აპრიალდა და იქაურობა გაანათა.

ბავშვმა აიღო ხელში თავისი იარაღი, რომელიც
მალიან უუვარდა, რადგან გრაჭოს გაქეთებული იუო.

ეს იარაღი მაგარი, ხმელი ხისა იუო, ბოლოში
და შუაში გახერხილი, შიგ გალესილი და წვეტიანი
კაჟი ჰქონდა ირმის კანჭის მარღვით შეკრული და
დამაგრებული. ეს უფრო სათამაშოს ჰგვანდა; მაგრამ
იმისთანა სათამაშო, რომლითაც კრისტიანულა ერთო-
ბოდა და ამ გალესილ ქვის სათამაშოს ხეს რომ და-
არტეამდა,—ის თითქმის ნახევრამდის ხეს ჩაესობოდა
და იმის იქიდან ამოღება მალიან გაჭირდებოდა.

ეს იარაღი სარტყელში ჩაირჭო და იმ გამოქვა-
ბულისაკენ გასწია, სადაც პაპა მისი ესვენა.



ეს სახაფლაო კიტრო და ღრმა იქო, შესხვალმისა
დიდი ლოდი ჭიონდა მიდებული, გარშემო მუხის ტკე
ერტეა, საღაც მამონტები, ოქაცხვირა, ვეფხი, ირუ
მი, ტურა, გარეული მაღლები დანაგარდობდნენ.

კრაგიულა ცოტა ხანი შეჩერდა შესავალთან, პა
ტარა მინდოოზე, სული ამოითქვა, ბოლოს მიუახ-
ლოვდა იმ დიდ ქვას, რომელიც კაცების ღონიერმა
მჯლავებმა მიაუგდეს, და ჩურჩული დაიწეო:

— „გროვჭო, ჩურჩულებდა პატარა ქალი, — მე მო-
ვედი სათქმელათ, რომ კრაგიულამ შენ არ დაგივიწეა
და არც დაგივიწებს არას დროს, ჩემო საუგარელო,
პაპავ: შენ ხომ კარგა იცნობ შენ შეილისვილს, იმან
იცის, რომ შენ მარტო მამინ მოისვენებ და ბედნიე-
რი იქნები, როდესაც შერს იძიებენ. აი, სწორედ
იმიტომ მოვედი შენთან, გამოგიცხადო, რომ შენი
აჩრდილი დიდხანს არ დარჩება მოუსვენრათ. დიახ,
გროვჭო, პაპავ, მერწმუნე: თუ სხვები, თაყიანთ მო-
ვალეობას არ შეასრულებენ, კრაგიულა თავისას არ
დაივიწებს. ის ან გაიმარჯვებს, და ან თავს გიმ-
სხვერპლავს.

ბავშვის ხმა თან და თან უფრო მაღალი და
გაბედული ხდებოდა, ლაპარაკს კადევაც გააგრძე-
ლებდა, რომ ამ დროს დრუტუნ-ბუტიუტი არ გაეგო-
ნა. მიიხედა და ნახა, რომ ის სამინელი დათვი პირ-
დაპირ იმასთან მოძროებოდა. ემაწვილი ისე გატაცე-
ბული იქო, რომ შიშს არ კრძნობდა, იარაღი ამოი-
ძოო, ხელმი მოიმარჯვა და მფრის დასახვედრათ
მოქმედა.

„მე ვეძეობდი, სთქვა მან, მე ავაზაკო, რომ მას
ხვიდოდი უძლურ მსხვერპლთან მაღის გამოსაჩენათ...
უსვინიდისო, შენ არ გაურბოდი იმის მაღას, მოდა-
ლატეპ, შემთხვევით დასძლიე... მე, შენ, გელოდებო-
დი. შენ ბავშვს არ შეებრძოლები; აი, ბავშვი თითონ
შირდაპირ შენთხნ მოდის!..“

მხეცი, რომელსაც წითელი თვალები ცეცხლივით
უბრწყინავდა, ბავშვთან მოდიოდა. აი უკანასკნელ ცი-
ცაბოზე ფეხი გადმოდგა და მინდორზე გადმოხტო-
მას აპირებდა, ბავშვი იმისი სუნთქვა ესმობდა და
ტანში შეაზრიალა.

კრა-გიულამ თავის დასაცველათ პატარა მჭრელი
იარაღი სელში მოიმარჯვა და რაც მაღი და ლონე
ჟქონდა შიგ შებლში დაარტყა. ეს უბრალო იარაღი
მხეცს შიგ შებლში ისე ღრმათ შეერჭო, რომ მის
გადმოვარდა და უსულოთ დაეცა.

კრა-გიულა შეშინებული, ვერ გამორგვეულიურ.
მუხლები ეპეცებოდა, გული ისე უცემდა, თითქოს ამო-
გარდნას ლამობდა... ძლივს გონზე მოვიდა და უციად
დაიუვირა: ჟელო-ჟელ!

ეს იქო თემის და მონადირეების დასამახებელი
ნიშანი.

— „ჟელო-ჟელ! დათვი მოვკალი! დათვი მოვ-
კალი!

შორს კაცები და დედაკაცები, რომლებიც თა-
ვიანთ საგზლით, ბრუნდებოდნენ, ამან დაინახა და მო-
ჟევა ძლიერის ხმით ევირილს:



— „ჰელოშურ! მოდით, გამოიქვეცით, დათვი
მოგქალი!

ამ ხმაურობაზე ხალხი გამოეშურა ამისკენ. ეპუ-
ლას გაუკვირდათ. არავის სჯეროდათ ეს ამბავი. კრა-
გიულა კი ჯავრობდა.

მთელმა თემმა მალე თავი მოიეარა და მკვდრო და-
თვის წინ გაჩერდა. იმათ აღტაცებას და გაკვირვებას
საზღვარი არა ჰქონდა. ქალები კრასგიულას გულში
იკრავდენ და კაცები კი თავიანთ მტრის ლეშზე სტო-
დნენ და ცემბავდნენ.

მაგრამ კრა-კიულა სულ სხვაზე ფიქრობდა: „მე
დათვის თავი მინდა!“ სთქვა მან.

როცა თავი ხელში იგდო გამოქვაბულის ქარგბ-
თან მივიდა, საცა თემის უფროსი ესვენა, ერთ წვე-
ტიან ქვაზე მიამაგრა ეს თავი, ხელები გაიძვირა და
წამოიძახა:

— „მე შენ მოვგაბლი, შე წეულო, მე!

შემდეგ დაუმატა

— „პაპავ! ეხლა კი, მშვიდობით იძინე!

დადამდა, მკვდარი დათვი კაცებმა ზურგზე მოი-
კიდეს, და სადგომებისაკენ წაიღეს.

(ფრანგულიდან)

ეკ. მესხი.





ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

თაფლი იყოს და ბუზი სტამბოლიდან მოფრინდებაო.

დიდ მარხვას უთქვამს: ისე მალე გავირბენ, რომ ქვრივმა
პერანგი ვერ შეიკეროსო.

გ ა მ ღ ც ა ნ ე ბ ი.

იქნევს თავსა და ბოლოსა, და ტანსა უჯირბახოსა,
დედამ მუცელში ხელი ჩაუყოს, გულ ღვიძლი მოუწახოსა.
თეთრი სოფლათა გაიყოს, ყვითელი შეინახოსა:

არწივმა დაიწიწინა, გარს შემოისხა ბარტყები,
არც არის იმის შვილები, არც იმის შვილი-შვილები.

იფლიფიონის საყდარი, იფლიფიონს ეუბნება:
შევხედე და შემომხედა, პასუხს არას მეუბნება.

სამათემატიკო გამოცანა.

მუხრანს ერთი მუხა სდგას, ცხრა ტოტი აბია,
თითო ტოტში ცხრა ცხრა თაგვია,
თითო თაგვს ცხრა ცხრა წრუწუნა ჰყავს.
გამოიცანით, რამდენი თაგვი და წრუწუნაა ამ მუხაზე.

ორი პატარა ბიჭი კაკალსა სქამდენ. ერთმა უთხრა მეორეს:—მომე ერთი კაკალი და მეც იმდენი მექნება, რამდენიც
შენაო.—არაო, უთხრა მეორემ—შენ მომეცი ერთი კაკალი
და მე შენზე ორჯელ მეტი მექნებაო. რამდენი კაკალი ჰქონდა
და თითო ბიჭს?

ჩარჩა გამოსათხმლი.

ნაძვი, სოჭვი, ფიჭვი, კოკა-კუტალი,
თუ შენ არ გენაძვ, გესოჭვ, გეფიჭვ, გეკოკა-კუტლება,
მე რაღათ მენაძვ, მესოჭვ, მეფიჭვ, მეკოკა-კუტლება.

ხ ა ლ ხ უ რ ი.

სამშობლოს მარგე ის არის, ვინც დედა-ენა იცისო; ვინც არა, კაცი არ არის, არც რა მწამს მისი ფიცისო.

შენ ბიჭო, ანაგრეულო, ხმა შენი ჩამოდიოდა,
შენი ნამგლისა ქრიალი წყალს გაღმა გამოდიოდა.

ა მ ღ ვ ა ნ ა.




ამ ოცდა ოთხ ჩხირს გამოაკელით რვა, ისე,
რომ ორი ოთხეუთხი დარჩეს.



№ 12-ხა. გამოცანები: საცერი, ჭიანჭველა, ცა, თევზი.
გამოცანა ხუმრობა: ფეხით მოვიდა.

№ 1-ხა. მოგება ღარიბ კაცს დარჩა. 27 დეკემბერს.
რებუსი: ერთი თხილის გული ცხრა ძმაშ გაიყო.



გიორგი ჭერეთლის ხსოვნას*).



დღიურ ცხოვრებით მოქანცულს
მომწყინდა ყოფნა სოფლათა,
წაველ და ვნახე საფლავი,
გამომზირალი ობლათა.

გარინდულ ღამის სიჩუმეს
მხოლოდ ბულბული არღვევდა;
კაეშნით მოცულ სივრცეში
უცხო რამ ჰანგებს აბნევდა.

უსტვენდა: „აქ ასვენია
მაშვრალთა მოციქულიო,
მესილუმლე ერისა,
კმუნვა და სიხარულიო.

ყოველ მთვარიან ღამეში
საფლავიდანა დგებაო,
ცისა და მიწის შვენებით
ღიმილი ეფინებაო...

კრთხულობს ქვეყნის ამბავსა,
ახარებს ვარსკლავთ კრებაო,
გარიურავდება და იგიც
აჩრდილივითა ჰქონებაო“..

ასე მღეროდა ბულბული,
ასე მოსთქვამდა, ჩიოდა,
შეენიშნე, ვარდზე ცრემლები
მარგალიტებად სცვიოდა.

გ. ქუჩიშვილი.

*) დაწერილია საფლავის კურთხევის გამო.



ჭავი აიშურ!

საახალწლო სურათები.



ასილი ვასილიჩი ბასილოვი დიდი ბედნიერი კაცია. წარჩინებული ჩინოვნიკი, მდიდარი და კაი ცალ-შვილის პატრონი. დღეს, ახალ-წელიწადს, ამ დიდმნიშვნელოვან დღეს ყველასთვის, ვასილი ვასილიჩისთვის ერთი ორათ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმითი, რომ ბედნიერ დღეს ემატება ამისი სახელწოდების დღე. ამ ორ დიდ გარემოების გამო, დღეს ბასილოვიანთ ოჯახში, დიდი სამზადისის შემდეგ, დიდი ლხინია, დიდი წვეულება. მრავალ ნათესავთა და მეგობართა გარდა, საღილათ მოწვეული ჰყავს ვასილ ვასილიჩს თავისი უფრო სების მთელი კრებული.

შვიდი ოთახი მშვენივრათ არის მორთული. თეთრ ხელთამანებით ლაქიები, ფრაკების ბოლოების ქნევით, მერცხლებივით დაჰურინავენ თახიდან თახიდან და მოწიწებით ემსახურებიან ხარისხოვან და მორთულ-მოპრანჭულ სტუმართ.

კახური ღვინო, ძვირფასი საჭმელები, მთელი ზღვა ტკბილეულობისა მიღის და მოდის წვეულთა შორის. ვასილი ვასილიჩი ერთ ალაგას ვერ დამჯდარა, ის აღელვებული აუვლის და ჩაუვლის სუფრას, ხან თავის უფროსს ჩაელაპარაკება მოწიწებით, ხან გაამხნევებს ტკბილის სიტყვით სუფრის ბოლოზედ მოკუნტულს „სტოლ-ნახალნიკს“, ხან ქალებს უძღვნის ქება-დიდებას, ალერს... გაქანებული ბაასია, მხიარული, ხმოვანი, აქა იქ გაისმის სიცილ ხარხარი, რომელსაც შესწყვეტს ხოლმე, მხოლოდ ტოლუმბაშის მჭერმეტყველი სიტყვა. საღილი გათავებაზეა. „ეს ღმერთმა ადლეგრძელოს ჩევნი ძვირფასი სახლის პატრონი! პურადი, გულადი და დიდათ პატივცემული ვასილი ვასილიჩი! წმიდა ვასილმა დღეგრძელ ჰყოს

და გაუათიათასოს ყოველ გვარი ბედნიერება!“ დიდის ჭრავებული
ხით წარმოსთქვა თამადამ დიმის წინ მდგომ ლაქის ცინწლის გამო
დან შამპანიურის აქაფეზული კიქააიღო.

„ადლეგრძელოს, ადლეგრძელოს!“ გაისმა აქეთ იქიდან
და მას მოჰყევა „მრავალ-უამიერის“ შემოძახილი. სტუმრები
აიშალნენ სუფრიდან, დაუწყეს სახლი პატრიონს ხვევნა-კოცნა,
მაღლობა...

— „ცოტა ოდენი დახმარება, მოწიწებით და თავჩალუ-
ნულმა წარმოსთქვა პატარა განომ, ვასილის ცხრა წლის ქალ-
მა და ვერცხლის თასი გაუშვირა პირველათ თავის მაშის უფ-
როს. ვასილი შექრთა, აღშეფოთდა, მაგრამ ოთახის ბოლოში
იყო და მინამ განოს მიუახლოვდებოდა, ის სტუმრიდან
სტუმართან გადადიოდა გაშვერილის ხელით, ჯამში უკვე მრა-
ვალი ქალალდის ფული, თეთრი მანათიანი და ერთი ოქროს
კეყვერიალებდა. მუკენიერი რამ იყო პატარა განო: თეთ-
რი კაბა, გრძელი დახუჭუჭებული ქერა თმა, მორცხვათ გა-
წითლებული ლოყები, ალისფერი ტუჩები. ცრემლებით სავსე
თვალები სწორედ ზეციდან ჩამოსულ ანგელოზს აგვანებდენ
ამ გოგონას და შეზარხოშებული სტუმრებიც, ახტაცებულ-
ნი მშვენიერებით, უცის გულით სთავაზობდენ, გასაცემს
არ ზოგავდენ.

— ღმერთო ჩემო, რას მიჰქარავს ის გონბიო! აღშფო-
თებული ბუტბუტებდა ვასილი და ბრაზ-მორეული უახლოვ-
დებოდა თავის ქალს.

— მამა! შენ რაღას მომცემ? ამ სიტყვებით დაასწრო
განომ მამას და ღიმილით ჯამი გაუშვირა.

— მე? მე შენ უურებს მოგწევ? ჩემო ცუგრუმელავ, ვი-
თომ ალერსით, მაგრამ დიდათ განრისხებულმა ვასილმა უთხ-
რა-ქალს.—სადაური საქციელია, სტუმრებისგან ფულების
თხოვნა? რას იტყვიან, სადილის ფულს გვახდევინებსო?

— შენც მამე გეთაყვა, ბევრი მამე, დაუინებით ეშუდარე-
ბოდა მამას პატარა და იმის ტუქსვას ყურსაც არ უგდებდა.

— გაგიუდი, გოგო, რა დაგემართა, ფული რად გინდა?
კიდევ და კიდევ უჯავრდებოდა ვასილი განოს.—ეხლავ დაუ-
ბრუნე ყველას თავისი ფული, ეხლავ, გესმის!

— რად მინდა, რად მინდა?! ძუნწი ხარ, მამა, ძუნწი!



გრიგოლა მომკვდარა, ის გრიგოლა, წუხელი რო ათი შეუტარებულის მიეცი. კიბეში ჩავარდნილა... ამხანაგები დასამარხათ თხოულობენ და... განო ღრიალით, სავსე ჯამით ხელში, კარებში გაფარდა.

— აი, ჯამი აიგხო! წაულეთ მაგდანას დედას. სლუკუნით უთხრა განომ ორ დარბაისელ ხელოსანს, რომელნიც აივანზე იდგნენ და მოწყალებისთვის სახლში შეგზავნილ ბავშვის გამოსვლას ელოდენ.

— ჯამი სავსეა, მართლა! ხედავ, ნიკოლოზ, რა საქმე გვიყო ამ ანგელოზათ მოკლენილმა პატარამ, უთხრა ერთმა ხელოსანმა მეორეს და ლმობიერებით თვალზედ მომდგარი ცრემლი მოიშრინდა — ღმერთმა გადლეგრძელოს, შვილო, დილი დედაკაცი გაგზარდოს! იმ საცოდავ ქვრივ-ობლის მადლმა ტკბილათ ლაგაბეროს შენი დედ-მამის სასიხარულოთ! მერე ფულები გადათვალია, ნიკოლოზს ჩაბარა და ცარიელი ჯამი პატარა ქალს დაუბრუნა.

— ზამთარია, შვილო, სამუშაო არავისა გვაქვს, თორემ ჩვენ თითონ გაუძლვებოდით სამარხს, სხვას არავის შევაწუნებდით, დაუმატა ხელოსანმა.

— ამ სიცივეში აქ რას უდგიხარ, დაუტატანა მამას გამოგზავნილმა აღმზრდელმა ქალმა განოს, კლავში ხელი წაავლო და სახლში შეიყვანა.

* *

გრიგოლა ნაბდიაშვილი სამოცი წლის მოხუცი, ოდესალაც კარგი კალატოზი და ბეჯითი მუშა, დროთა ბრუნვამ უკანასკნელ სილარიბებშინ მიიყვანა.

ორი მოსწრებული შვილი, ერთი კალატოზი და მეორე დურგალი, ციხეში უსცდნენ და შინ მათ წვრილ შვილს საცხოვრებლათ პირი დაეღოთ. რაც კი გააჩნდა ოჯახს სუჟექტაფერი გაყიდეს და შვილების გამოხსნის საქმეს მოანდომეს: ქეჩა, ხალიჩა, ქვაბი, ლანგარი, სახელოსნო იარალი, დოშავის შატყლიც კი გამოაცალეს პატარა ბალდებს, მაგრამ ყველა-ფერმა ტყუილათ ჩაიარა. გრიგოლას შვილები, ჯანით და ლონით სავსე შვილები, უსაქმურად ციხეში ისხდნენ და მათი შვილები კი შიმშილით წიოდნენ.

ახალწლის წინა ღამეს გრიგოლა მეტად შეაწუხა ბავშვის გადასამარხად და მათი შვილები კი შიმშილით წიოდნენ.

ვების წუწუნმა, საყოველთავო სამხადისმა იმათი მწუხაჭავის გამოცხადის გამოკეცა, მეტი მწვავი ტკივილი აგრძნობინა, მეტად ცხოვ-ლათ გამოატაქვინა: — ქვეყანა ემზადება, ყველამ სახლი ხო-რაგით და ტკბილეულობით აავსო და ჩვენ ხმელი პურიც არა გვაქვს! მოთქმით ტიროდა დურგლის ცოლი და შვილები ბანს აძლევდნენ. მისი ათის წლის მაგდანა დედაზედ უკეთესათ შეღლოვიარობდა.

გრიგოლამ ველარ გაუძლო ამ საშინელებას და კარზედ გამოვიდა. დაკონკილ-დაფხავებულ ჩოხა-ახალუხში გახვეული, თავზედ გახუნებული რუსული ქუდით ჩამოფხატული, დიდის კობბლით ხელში, თავჩაღუნული და დაძმარებული გზას გა-უდგა. მყუდრო საღამო იყო, თოვლი ოდნავ ჰუფროლავდა. ქუჩის ფანრები მკრთლიათ გამოიყურებოდენ ბურუსში. ხალ-ხი ბუზსავით ირევოდა ქუჩაში და გაფაციცებული შირბი-შორბოდა. რამდენჯერმე წაჟრეს გვერდი, ბარბაცით მოჩან-ჩილე გრიგოლს, ბულვარიდან კინაღამ გადაჩეხეს, მაგრამ ის მაინც შეუყენებლივ მიღიოდა, მიღიოდა და კი არ იცოდა სად და რისთვის! ხელის გაწვდენა, მოწყალების თხოვნა ძლია-ერ უჭირდა თავისი მარჯვენით ცხოვრებას დაჩვეულს მუშაქს, ეგონა ვინც ჩემ დაგლეჯილ ჩექმებს, ჩოხა-ახალუხს დაინახავს, თითონ მიხვდება და გამიკითხავსო, მაგრამ გამკითხავი არსაი-დანა სჩნდა, ყველა თავის საქმეს მიეჩერებოდა, ყველა თავისი ოჯახობის მზრუნველობით იყო აღსავსე, დიდს და პატარას მხოლოდ თავისი პირადი მოთხოვნილება ამოძრავებდა. გრი-გოლი დაიღალა და გაჩერდა ერთ დიდ მშვენიერ გაჩაღებულ მაღაზიასთან და ამოისუნთქა. რა გინდა, რომ იქ არ იყო გა-მოწყობილი და მორთული: დაბრაწული ინდაურები, ბრო-ლივით გასვლეპილი გოქები, თევზები სხვა და სხვა გვარი, ხიზილალა, ხოხები, სხვა და სხვა მწინალეულობა, ყველი და მრავალი სხვა შეძლებულ კაცთა კუჭის საფუფუნებელი. ათა-სი ქალი და კაცი შეღიოდ-გადიოდა ამ დუქანში. ყველას გამოჰქონდა შეხვეული სანოვაგე და კმაყოფილის ღიმილით შინისაკენ მიღიოდა. სხვათა შორის ვასილი ვასილიჩიც თა-ვისი პატარა განოთი გამოვიდა დატვირთული და თანაც ქარ-გალი გამოიყოლია ათასის რაგინდარით, ფაიტონი რომელიც დუქნის კარებთან უკდიდა, პირამდინ აავსეს და ის იყო ჩა-



շօնմաս աპորյօնքնեն, հռ ցրոցոլու ֆին ֆալգա դաշտովով պարունակութիւնը եղլո ցայլացրու.

ցրոցոլու յարցատ ուրնո ցանուլ ցանուլուն, ուրուծ ամուս-
նոմակութիւնը, ծեղնոյրյօն, ոռուառանատ դաշտովով պահին-
դա, հալգան օմուս լուն, թշվենոյրու սաելու, ամուս աշեցենուլու
ոյս դա տամամատ յունու մուշեալու.

— ա, ատո Շայրու, մերու եղրդա առա մայբս, պատերա ցա-
նուլմա ցրոցոլու, սալումթեզ սալումու առ մուսպա դա ույցընոննու
ցըշմշրա.

— յց ծեցերու յացու քարտարա մացլանաս քաձաս, ացրյ ոռու-
րաւ մոյսու? սապացելուրուտ պատերա ցանում մամաս.—մացլանա, հի-
զուս եռլումբ, մամա դա ծուս ույցըշու լաւուրյըսու, դուզ մուցլու
գլու հյութ.ցու, մացրամ քյուրուս սամպուց ույլուսաւ զըր Շույ-
լունանու.

— ատո Շայրու ոռուա?! Մյ Ծանություն, լումուլուտ պատե-
րա մամամ ցանուս.—ածա ունցարումյ գլու համցեցնու մացլանաս
քաձանտանա ցամամուշըրու եղլու, պացըլուս հռմ տպանանցեցնու ցա-
լուն, ոյզըն հալու ցամամուտի լունու-ծանությօն, ածուրյա, Ծանու-
թյունըցնու հուտու ցուուլու, Մյ ույցրությունաց, Մյնա! դա տան կմապո-
յունըցնուտ համուսցա եցլու տացուս յալուս սուրուցուսացան ցանու-
թյունը լունցըն.

— մացլանա, ույտու յարցու ցուցու, մամաչան, ույտու յար-
ցու համցեցնու համ ուրուս, հռ ուրուցք. Խլածնյօն, սեզա դա սեզա
միջեցնո... սաելունու ցակյուղը սատամանու յալուլունան, դուզու-
լունու յածեցնու Մյուրա, քյուրուս ցամուխուն ունատուցն... ու
հյունտան ե՛նորաւ դաւուս. դուզու հյուս ժյուլ ծանակյօն, յածեցն.
ածլուց եռլումբ... հռմ ուրուցք սաւ դցանան, հյուն քուրճանուր,
ծեցլ սարճացնու, ծեցրչյըլ քյուրուց առա այտու... մամա դա ծուս
ույցըշու հայսեացու... մամաչան, Մյն առ Մյուցունուս ցամունցըցնու-
նո? ուրու, մացլանա միջուն, Ծանությունատ, պալանանցաւ դաւու-
րյըսու. քաձամ զըրու յու Մյուրյուն հաս ածրալուցնու...

— Մյն սաւ ցայյէս մացլեցնու լուն, հռմ զուլուց մացլա-
նցըն յըլապարայցնու,—աելու յու ցայյազրյօնուտ դա վարեցնու Մյ-
ուցընուտ պատերա մամամ ցանուս.

այ „ույցընոն“ Մյիւրը մեծութա, ցահալու յարուս ֆին.
դա մամանցուլուտ լուսարայու Մյուցընու.

გრიგოლა კი კარგა ხანს იდგა დუქნის წინ და იქ შესვეული
მსვლელ-გამსვლელთაგან ერთი-ორი აბაზი მოწყვალება ჟიღვე
აიღო. კარგა ღამე იყო გასული, ქარი ამოვარდა, სუსხმა ჭია-
სა და რბილში დაუარა, გრიგოლმა მარცხენა გვერდში ჭვა-
ლი იგრძნო, გროშებით სავსე ხელები უკან კალებდა. დუქან-
ში მყიდველთა სვლა შესწყდა და მილაგ-მოლაგება დაიწყეს;
გრიგოლამ მოწიწებით შეაღო კარები და პირ-მოცინარ, ჩა-
სუქებულ დახლიდას აბაზიანი მიაწოდა.— მამაშვილობას, ამ
ერთი აბაზისა, რაც მერგებოდეს, კალბასი მომიქერ, შვილი-
შვილები შიმშილით მიწყდებიან. ხვალ დიდი დღესასწაულია...

დახლიდას დიდი ხანია შენიშნული ჰყავდა, დუქნის
ფანჯარასთან ატუზული გრიგოლა, კარგათ ხედავდა იმის
აცახცახებულს, დაგლევილ ტანისამოსში გახვეულს ტანს,
მაგრამ აბაზი მაინც დახლში ჩააგდო და მერე დუქნის მგველ
პატარა შეგირდს დაუძახა:— სარქის, აი რაც პატარა მონა
ჭრებია ყველისა, კალბასისა, ვიჩინისა, თევზისა სულ მო-
გროვე და ამ ბერიკაცს მიეცი.

სარქისამაც ერთ დიდ ლანგარზედ შეაგროვა მოელი
დღის ნავაჭრის უხეირო ჩამონაჭრები და გრიგოლას გაუშვი-
რა.

— მადლობელი ვარ, შენი ჭირიმე, მადლობელი! სოჭვა
შოხუცმა და სიამოვნებით გაილიმა, რო ამდენ სანოვაგეს მიუ-
ტანდა ოჯახს.

... მაგრამ რაში გავახვიო ამდენი ღვთის მოწყვალება! ხელ-
სახოციც კი არა მაქვს...

— აი ამ ფესტამალს მოგცემ,— უთხრა დახლიდარმა მო-
წყალების კილოთი გრიგოლს და კალთიდან ჭუჭყიანი წინ-
სათარებელი შემოიხსნა— შენ პატიოსან კაცსა გევხარ და კი
არ დამიკარგო, გაარეცხინე და მამიტანე; მაშინაც „აბრეზ-
კებს“ მოგცემ. „აბრეზკებს“ სუყოველთვინ შენისთანა მა-
თხოვარებს ვაძლევთ.

შუა ღამე გადასული იყო, როდესაც გრიგოლა ცალ
ხელში გატენილი ფესტამლით და ცალ ხელში ბერკეტით
თავის სარდაფის კარებს მოადგა, ჩასასვლელი კიბე თოვლით
იყო წაფერფლილი, დაღალულობისგან მუხლები უკან კალებ-
და, სიმძიმის ჭერით ხელებში ღონე სულ გამოელია, ჭვლი-



సాగాన శుల్పి శుభర్థదండ్రా డా రాత్మయిక్రథలాత, గాచుతంబిల్పుర్చిల్లా
లాత కిండుగా కిందేశ్వర తిరువ్వెలి నాభిజ్ఞి, తమవ్వుల్చేడ జంశి వీచు-
సెల్రుా డా తావ్వాలమా కిందేశ్వేడ రిశిన్-రిశిన్సిత వీచ్చులడ. సారు-
డాటిసి దాచటరోక్యేభులి కార్యేబి గాచిలూ డా బెమాచురింబాచ్చేడ గామి-
ల్చుషేధుల గ్రిగొల్లాస ఉచ్చాబీస, సాఫల్యేసాసిచ్చాచుల్లి బ్యుగ్గేశిస ఘ-
గివ్వాత, ప్రాత్మాల్-భ్రమించారి మంచుప్రిస గ్వాశి శేర్హిత బ్యేల్పిస.

* * *

శ్రీవేణుగోపి డల్చ గాత్మందా ఆశాల్-శ్వేల్చించాడ డల్చేస. ప్రథమ్యే-
లి మీఁ అతాసి మంచుల్వార్య సెసివ్యేభిత అనాత్మందా సాఫల్యేసాసిచ్చాచు-
ల్లంత మంచితుల్ల జీలుప్పిస, అమిస మంచిరాబుక్కుల్ల, భేదిత గాల్చాచ్చు-
బుల మిచ్చుపుర్చేధత. త్వరితా గాశ్లంిల్లి శేక్చున్డా ఊచ్చుచ్చున్డిత గా-
చ్చుంచ్చుధేబుల ల్చుబీస ఐస్, రింగురుచ్చ బాసిల్లాశ్వుల్లిస ఉచ్చాశిస ప్యు-
ంగి త్వరితా గాశ్లంిల్లి డా మంచివ్వార్చుల్.

మంచుపురాబుక్కుం డా భేదశ్వాతా ప్రథమ్యేబాస శుఫ్రం అఖిగ్రహేబుల్
డా ఆశాచ్చున్చుల్చుబుల్. బాబ్లింగాంత సారుండాటిస గాల్చెబుల్ల కార్యేబుశించు
హించాతా తావ్విసి భర్చుపున్చాల్ శెసివ్యేబి మీఁమ. డా మిసి జుఱలమ్చు-
ల్చుబిచ్చ శుఫ్రం మ్యాట్యుపిత గాచానాతా. బొట్రిం, గాచుల్చేసావ్యి ప్రీటి-
ల్చుబి, అంగులాశ్వేబుల్లి, అింహీనిల్లి పార్చాక్యి, అభులాశ్వుదిత గాభ-
మ్చుల్లి, భుల్చిత గాభ్యువార్తల్చుల్లి శ్వేర్చి డా ప్యువ్వుల అవ్వెచ్చుల్లం-
బాస మంచుధేబుల్లి గ్లూబాతా సాఫల్యుర్లి.

మంచుల్లి ఒతాబీసి సిగ్రిందేశ్వేడ శ్వేర్చుల ప్రాశ్చర్థేడ,
ప్రార్మిగల తొప్రుబ్చేడ, ప్రాశ్చర్తిస శ్వు ఎంగాస, శ్వుగ్ం తుండ్రాజ్-
భుల్లాశ్వాడ శాల్చుర్చుబుల్లి తిరుసిసాంత గ్రిగొల్లిస మిచ్చేదార్చి,
తావ్యసా డా భుల్లంత మిసి ప్పిరుసిశ్వుపాల్లి, రింగ్లేబి ఐసెఫ్చెన తావ్-
తావ్యానంత శ్విల్చేబిత. మంచుల్లాశ్వుతా సాశేశ్వే ఐ శ్వుంచు వాగ-
ల్లాశి ప్యు గామిసాశుల్లి, రింమేల్లిచ్చ అతాశ్చుర్ శుఫ్రం మీఁచ్చువ్వి
డా భ్రమించి దాయార్చువ్వి మీఁచ్చుబుల్లాశ అాతిగాతాశ్చుబీస, రిండ్లేసాప్
పాట్రింబుంచ్చ అం ఐప్రిస, త్వ రింతి మింబార్చుల్ మించిస తావ్యిసి మ్యుం-
చ్చుసి మిచ్చేదార్చి.

కిందేశ్వేడ కింమిండింద్రున్ గ్రిగొల్లాస అమ్బానుగ్గుబి, బాచుంబ-
్చి, బాంత్యుంబ్చి, తిరుచ్చువార్స ఐంచ్చేర్లున్ మిచ్చేదిర్చిస వీఁిన, శ్విత ఏర
గ్రంథుస ఎంచుంబ్చున్ ఇమ లాంగుర్చేడ, రింమేల్లిచ్చ భ్రమించి శ్వుస-
శ్వేర్చిసింపుస శ్వుల్చేడ, శ్వేర్జే తాంబాచ్చుర్చున్చుబిత తావ్యస శ్వుర్చ-
డ్రున్ తిరుసి శుఫ్రాల్త డా మింమ్యే-మింమ్యేత గాధించున్ శ్వు. కిందేశ్వే
శ్వేర్చుబుల్లున్, అంల్చ ఏర్తి ఏర్తిమాన్చుతస అంల్చుచ్చుల్ సాంమాస డా



მართავდნენ იმაზედ ბჭობას, თუ რითი შეეწყნარებინათ უნდა-
დური ოჯახი.

— ეხლა მაინც შეიბრალებდნენ ამ უმწეო ოჯახს და
გაანთავისუფლებდნენ ერთ ერთ ბიჭს ამათ ლუკმის საჭმევლათ,
ამოიოხვრით სთქვა ერთმა უმუშაოთ დარჩენილმა კალატოზმა.

— უმწეო ოჯახს! ცოტაა ამათსავით უმწეოთ დარჩენი-
ლი ოჯახი! უპასუხა მეორემ.

— მახლას ამოიოხრა მესამემ,—მოთმინების მეტი რა გზა
გვაქვს!

— მოთმინება ვირის ხელობაა და აკი კურტანიც იმას
ადგია...

— დაიშალენით, დაიშალენით! რას შეჯგუფულხართ!
დაუტატანა პოლიციელმა მოლაყბეთ.—ერთად დგომა აკრძა-
ლულია, განა არ იცით?

— კაცი მოკედა, დამარხვა უნდა, ექვსი ბალდი მშიერი
არჩბა, მაშ ხელი არ უნდა გავანძრიოთ, არ უნდა მოვილა-
პარაკოთ? წამოიძახეს ყველამ.

* * *

— მაგდანას დედა, რომელია? შეეკითხა ნიკოლოზი
გრიგოლის თავს და ბოლოს მჯდომ მგლოვიარეებს.

— მე გახლავართ, რას მიბანებთ! მწუხარებით სავსე
ხმით მიუგო თებრონიამ, მაგდანას დედამ.

— აი, მთელი ჯამი ფული შეგიგროვათ ბასილაანთ პა-
ტარა ქალმა გაიანემ. „მაგდანას დედას მიეცითო“.

— გაიანემ, განომ! შეჰყვირა პატარა გოგომ თავისი ამ-
ხანაგის სახელის გავონებაზედ და დედას სიხარულით უთხრა:
ის ჩემთან დაპირებულია, რომ მამაშენსაც, —მამა ჩემს გამო-
ვაშვებინებო.

— იქნება, მართლა მამაშენსაც უშველოს, უთხრა ნიკო-
ლოზმა პატარას.—ეხლა კი იმის მოწყალებით პაპშენის და-
მარხვის სამზადისს უნდა შეუდგეთ.—პატარეებშიც რო ღვთის
ხელი არა ტრიალებდეს, მაშინ ხომ დედა-მიწაზედ ჯოჯოხე-
თი დეენთებოდა! დაუმატა ხელოსანმა და სხვებთან ერთად
ქელების სამზადისს შეუჯგა.

ექ. გაბაშვილი.

მუსიკალური დასაკრავები საქართველოში.

(გუძღვნი აა ქარგარეთელს)



ვენი ერი ძველ დროში განათლებით არ ჩამოუტჩებოდა სხვა ერებს, მეტადრე ხელოვნებაში დაწინაურებული იყო. ამას ამტკიცებს მრავალი ტაძარ-პალატები, ჩუქურომები, ეკლესიებზე დარჩენილი ნახატები და სხვა. დღემდის განათლებული ქვეყნებიდან მოდიან ჩვენთან მოგზაურები და გაკვირვებული რჩებიან, მუდამ გარშემორტყმული მტრებით, ქართველებმა როდის მოასწრეს ასე განვითარებათ.

თქვენ უსათუოდ გაიგებდით, ყმაწვილებო, ჩვენი დიდებული პოეტის შოთა რუსთველის სახელს, რომელმაც მე-XII საუკუნეში დასწერა შესანიშნავი პოემა „ვეფხის ტყაოსანი“. მისი მარგალიტებრივი ლექსთა წყობილება გასაკვირვებლათ აქვთ ყველას და ევროპილ ენებზე არის გადათარგმნილი. ყველა ეს ამტკიცებს, რომ ქართველ ერს კულტურა ჰქონია, მარტო ხმლით მტრის მოგერებით არა კმაყოფილდებოდა. ქართველებს დიდი დამოკიდებულება ჰქონდა განათლებულ მეზობელ ხალხთან, მაგალითად: ბერძნებთან, ფინიკიელებთან, არაბებთან, ასირიელებთან და სხვებთან.

* * *

როგორც ვსთქვით, საქართველოში ყველა ხელოვნების დარგი იყო გავრცელებული და რასაკვირველია, სხვათა შორის მუსიკაც. ჩვენში მუსიკა თვით ბუნებამ დაპირის ცამდის ატყორცნილი ბუმბერაზი მოები, მუდამ თოვლ-ყინულით შე-



მოსილი, პიტალო სალი კლდეები, მათგან ვაღმონაქუხი აქა-
ფებული ჩანჩქრები, ძირს გადაშლილი ყვავილებით მოქარგუ-
ლი მდელ-მინდორი, გარშემორტყმული ზღვები, მაღლა ფი-
რუზის ფერი ცა—აი რამ დაბადა ჩვენში მუსიკის ძალა!


* * *

მრავალ საკრავებთა შორის ჩვენამდის ბევრმა მოაღწია,
აյ ჩამოვთვლით შემდეგს: ქნარი, ჩანგი, ჩონგური, სალამუ-
რი, ორმალი, წინწილა, ებანი, თარი, ჭიანური, ზურნა,
დუდუკი, მუტრიბი, ბუკი, ჩაღანა, დაფი, ტაბლაკი, დაბ-
დაბი, ნობი, იქოს-დაბდაბი, სპილენძ-ჭური, ღიმპლიპიტო,
ბუბნი, დაირა, ნაღარა და მრავალნი სხვ.

საქართველოში მუსიკის გავრცელებას ხელი შეუწყეს
არაბებმა, ამისთვის საქართველოში უფრო არაბული საკრავე-
ბია გავრცელებული.

* * *

აქ მოგვყავს საკრავების ნახატი და მისი აღწერა:



თარი ტკბილი
საკრავია და ძა-
ლიან გავრცე-
ლებულია სა-
ქართველოში.

უწინ შეძლებულს ოჯახში თარი ყველას ჰქონდა. თვითონ
თარი, შემოტანილია საბერძნეთიდან და მისი შემოტანა უნდა
ეკუთვნოდეს იმ ხანას, როდესაც ქართველნი დაუახლოვდენ
მათ ქრისტეს სარწმუნოების მიღების შემდეგ. სახელდობრ
მე-V—მე-VIII საუკუნეში. ბერძნულათ თარს ჰქვიან „თარა-
ლეოს“ და ჰნიშნავს მიყრდნობას, მინდობას, ძმობას და სხვ.
თარს ხმარობდენ ქურუმები კერპთ-თაყვანის-მცემლობის დროს.




ქამანჩა არის
არაბული დასა-
კრავი და ძვე-
ლადანვე შე-
მოღებულია სა-

ქართველოში. ეხლა ხმარობს მთის ხალხი. ძველათ უფრო
ხმარობდენ სომხეთში.


ძველათ უფრო



დაირა არაბული დასაკრძალის ბულათ „დაირე“). სპარსელები წეა-
რობდენ ლაშქრობის დროს.



ჩონგური ანუ ფანდური. ეხლა ხმა-
რობენ სოფლათ. ძველათ ხმარობ-
დენ ასსირიის დროს.



ჭიანური არის ორ სიმიანი და ერთ სიმიანი. პირველს
ხმარობდენ მომღერლები, ხოლო მეორეს — პოეტები. ჭიანურს
ხმარობდენ ძველათ ქურუმები, როცა კერპებს მსხვერპლს სწი-
რავდენ.



დიმპლიპიტო შემო-
ლებულია არაბებისა-
გან. იყო გავრცე-
ლებული სპარსეთში,
ლაშქრობის დროს,
ჯარის გასამნევებ-
ლათ და აღსაფრთხო-
ვანებლათ. აგრეთვე
მცირე აზიაში, სა-
ხელოდობრ ფრიგია-
ში ხმარობდენ.



თრი და შემაძრწუნებელი
არაბულათ ჰქვიან „ზემრ“.

ზურნას აღმოსავლეთში ისეთივე
მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც
დიმპლიპიტოს — აქვს მეტად მკვე-
ბა. შემოლებულია არაბებისაგან.



დუდუქს მეტათ ტკბილი და სა-
სიამოვნო ხმა აქვს. დუდუქი არა-



ბთა შემოტანილია მერვე საუკუნეში. ახლაც ხშირათ გალუპულიობისა ქვებში და სოფლათ ხმარობენ.

* * *

ჩინური დასაკრავი არის აგრეთვე სტეირი — პირველ ყოფილი საკრავი აღმიანისა. ჩინური ლეგენდა ამბობს, რომ იგი არის გამოგონილი დიდათ სწავლულისგან, რომელსაც ერქვა ლინგლუნი.

სალამური გამოიგონეს არაბებმა. თვით სიტყვა „სალამური“ (არაბულათ „სალამ“) ჰნიშნავს სალამს, მიმშვიდობებას. სალამური დღეს საყვარელი დასაკრავია შწყემსისა. იგი ძალიან გავრცელებულია საქართველოში.

წინწილა და ებანი საქართველოში ძალიან ადრე შემოვიდა ხმარებაში. მე-ХII საუკ. მგოსანი შავთელი იხსენიებს თამარ მეფის აღწერაში და ამბობს ასე: „ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა, ხმანი ებნისა და წინწილისა“.

სპარსული საკრავები საქართველოში შემოლებულია ქრისტეს დაბადების წინედ, როდესაც სპარსეთში მეფობდა — მეფე ქსერქსი, ხოლო არაბული ეკუთნის — არაბთა შემოსევის ხანას.

გ. ლეონნიძე.



დაღუპული მეზღვაური

(დასასრული)



რ ვიკი ნიკოს უჩვევება ალექსმა იმოქმედა ელენეზედ, თუ მართლა დასთბა დაიმა, მან ჯერ ტირილს უკლო, მერე უცებ დაწყნარდა და მტრედივით სული განაბა.

ნიკო დას ეხვეოდა და ფიქრით კი მთელ ქვეყანას ეომებოდა. ღმერთმა იცის რაზედ ფიქრობდა, მაგრამ რომ ფიქრობდა და ვიღაცას ეომებოდა, იქიდან სჩანდა, რომ სახე მოღუშული, ელენეს ზოგჯერ ისე მაგრათ იკრიბდა, გეგონებოდათ მის თავს ვისმეს სტაცებსო, ზოგჯერ-კი ისეთნაირად გაინაბებოდა, გატვრინდებოდა, რომ აშკარა იყო იგი რაღასაც ხედავდა, ნათლათ ხედავდა, რადგან იმ წამს თვალები უცებ უდიდებოდა და სახე სრულიად ეცვლებოდა.

ოთახში სიჩუმე იყო დამყარებული; ალბათ იმისთვის, რომ ორივე მოიქანცნენ — ერთი ტირილით და მეორე კი მეტი ოცნებით და მღელვარებით, ის სიჩუმე მათზედ თავისებურ ალექსით და დამამშვიდებლათ მოქმედებდა. ელენეს კი უცებ შეუმჩნევლათ კინწი მოსწყდა, ნიკო კი ჯერ კიდევ ებრძოდა თავის ფიქრებს, მაგრამ დაღლილს გონებაში დაბადებული მრავალი სურათები ერთმანეთში აერია, ღონისული თითქოს მიუსუსტდა, ყელში მომდგარი ბოლმა ნიავ-ქარათ შეეცვალა, მერე ყურებში, თითქოს დღეობაში ზურნამ დაუკრაო, რაღაცამ ხანგრძლივ გასწივლა და ნიკოც თან უცნაურ სამეფოში გაიტაცა. ნიკო ძილს არ გაუმკლავდა, პირიქით, სწორეთ ინ წამს, როცა ბურან მორეულს პირველი თავის

ჩაქინდვრა ხრამში ჩავარდნათ მოელანდა და შემფრთხოებული თვის შეიძლება; მან მუთაქა მოითრია, ჯერ ელენე მიაწვინა, შემდეგ თვითონ გვერდს მიუწვა, მოეხვია და მოისვენა. მაგრამ მოისვენა? განა ბუნებით მოუსცენარს ქვეყნათ ჩამე შეიკავებს და მოასვენებს? თუ პირველად მის ლამაზ სახეს გაზაფხულის მშვენიერ დარის მგზავისი სიმშვიდე ეფინებოდა, ცოტა ხნის შემდეგ მის შუბლზედ ლრუბლების მგზავსათ ნაოჭებიც კი აირია, მრკვალი ცხვირის ნესტოები გაუგანიერდა და აუთამაშდა. მან იმ წამს ხელი მაგრა გაიქნია, თითქოს ვისმე უწყრებაო და ის უამი იყო, რომ მარჯვენა თვალიდან ცრემლმა უცემ გამოიუნა, ცხვირის ძირზედ გულ გახეთქილივით დაქანდა და თითქოს გაოცებით მარჯნის მგზავს მშვენიერ ტუჩებ გვერდით დარაჯივით გაჩერდა. ნიკო ლრმად და კვნესით ამოიოხსრა. ეჭვი არ იყო, რომ იგი სიზმარს ხედავდა. იმ ამოხვერასთან ერთად ის ერთად ერთი კამკამა ცრემლი იყო იმის მოწამე, რასაც იმ წამს ნიკო სიზმრად განიცდიდა, ცრემლმა კარგად იცოდა, რასაც გრძნობდა ნიკო იმ წამს, როცა სიზმრად დაუსრულებელ თოვლიან მინდორს გზას გამდგარი ველარც თავსა და ვერც ბოლოს ვერ პოულობდა.

მიღის და აღარც კი ახსოვს რისთვის მიღის, ისეთი გზა განვლო და ისე ძლიერ მოიქანცა. გული კი ძლიერ უღელავს, ცრემლი თვალთა აქვს მომდგარი, საცაა კიდეც დაიყვირებს — სად მივდივარ და რისთვისაო, მაგრამ ამ წამს ნიკო უცნაურ სურათს ხედავს:

პაწია ქედზე ფარაჯაში გამოხვეული მისი ბიძა, ყავარა ჯეზე დაბჯენილი გაღმომდგარა და იმავ მწუხარე გამომეტყველებით, როგორც იმ დღეს ნიკოს დედას შესჩიოდა, იმასაც ისე ეუბნება:

— ასე უთხარი სარეკელა დამიშუნჯდა და კარ-ამოქოლილ წისქვილს ქარი ზუზუნით გლოვობს-თქო. აბა შეხედე!

მტკიცეთ ჩამოსძახა მოხუცმა, თან ყავარჯნით მთებისაკენ მიუთითა და წელში მოხრილი უეცრად გაპქრა. იმის ნაცვლათ ნიკო ახლა წისქვილს ხედავს. ორ მთა შუა პაწია მიბრეცილი ხის წისქვილი ისე მოსჩანს, გეგონებათ გულ-ხელ დაკრეფილი ბებერი წამოსკუპებულაო. კარაგამოკეტილ და-



უანგებულ რაზაში გაფორტნილი ჩხირი ურქვია, დამშენდა მარტინ გარება. ლამი თავზე გაჩერილ თვებივით წამოსწერია და ტყავ-შეფხრე-წილ ფანჯრით თითქოს ცალი თვალით იცქირებათ. ზემოდ ყინვისაგან გახეთქილ ღარს პირი ისე დაულია, თითქოს სა-ცაა წამოიყირებს — მიშველეთ, რა დავაშვეო!

ახლა კი მიხვდა ნიკო ყოველივე რასაც ნიშნავდა, ან თვითონ სად მიეშურებოდა.

— ო, ო, შეჩვენებული, ყველაფერი იმ ბოროტი ყინ-ვის ბრალია, დამაცადოს!..

წარმოსთქვა ნიკომ თავისთვის და ხელახლათ აღელვე-ბულნა ნიავივით გაუტია გზას. მის წინ ისევ სუდარასავით თეთრათ გაშლილ მინდოოს ბოლო არ უჩანს. ზოგჯერ ქა-რიშხალი წამოუბერავს და აფორიაქებულ ნამქერს გალავანი-ვით წინ ჩაღლობავს.

— იქნებ ეს იყოს მისი საბრძანებელი, — გაუხარდება ნი-კოს, უფრო მარტათ გადააბიჯებს, რომ ალაყაფის კარები და აკაკუნის, მაგრამ მიუახლოვდება თუ არა, გალავანი გაირღვე-ვა, დაიფანტება და მის წინ ისევ უფსკრული გამოჩნდება. აქა-იქ, გზის პირათ ქარისაგან თოვლ გაცვინული ბუჩქები შავათ მოსჩანან და ქარის დაბერვაზე საშინელ ხმაზე წივიან. მაგრამ ნიკოს არ ეშინიან, რადგან მზე ჯერ ისევ მაღლა სჩანს. მიდის, მიეჩარება, მთ უმეტეს, რომ შორილან ნამდვი-ლად უშველებელი მთა მოსჩანს. მანამდისინ კი ხრამი შეხვდა უშველებელი; ნიკომ გვერდს აუარა, უნდოდა რომ გზა აექ-ცია, მაგრამ უცებ ტირილი შემოესმა და შესდგა. ხრამ გა-დალმა თავ-შალ მოხვეული და წინ-საფარით გაწყობილი ნიბ-ლია ჩირგვზე ჩამომჯდარიყო და მდუღარებას აფრქვევდა.

— ვიცი, რომ იმ ავაზაკთან მიდიხარ და ჩემს მაგივრად ასე უთხარ — ცეცხლი წაგეკიდოს და ამინიდან უკუნისამდე ეს სიმწარე არ გამოეგლიოს, რა ტანჯვაშიაც მე ჩამაგდე-თქო.

ასე გადმოსძახა ნიბლიამ, მაგრამ ბოლმა მომდგარმა სუ-ლი ვეღარ მოითქვა, ცოტა ხნით უხმოდ იტირა და მერე კი-დევ ნიკოს მოუყვა:

— ჯერ სნეული ვიყავ, შენ გენაცვალე, რის ვაი ვაგლა-ხით და დიდი წამლობით თავი ძლივს გავისაღე, შემდეგ ქვე-მოთ ტყის განაპირს, საყდრის ნანგრევში დავბინავდი. ღმერთ-

შა აცხონოს ჩემი მაზლი, ის გამართული ოჯახი და სახლი მომდევნობის კუპჩით მე მიანდერდა. შეველ დავდექი და მაღვე სახლობაც გავიჩინე. სამი ისეთი შვილი მყავდა, რომ ავი თვალით არ ინახოდა. უფროსი ზაფხულში ქორმა მომიკლა, ეგრე მასხარა და მაიმუნი მზეს რად შესცინი, რა ლირსი ხარო მეორე სახლიდან ძალით მომტაცეს და ასე ამბობენ, ცხრა მთას იქით ვიღაც ქვრივს ზედსიძეთ შეუყვანიაო. მესამე-ლა დამრჩა, უმცროსი, მეტად ტკბილი და ალერსიანი. მთელი გვარეულობის თვალი იყო და სიამაყე. მუდამ, როცა მე რაზედმე მოწყენილი მუხის კენჭეროზე შევჯდებოდი, უეცრათ მოფრინდებოდა, გვერდზე მომიჯდებოდა, ახალ სიმღერებს მზის ნათელზე და მთვარის შუქზე შემოსახებდა, ბებერს, მეც თან ამიყოლებდა და მთელ ჭალას მხოლოთ ჩვენ ვამხიარულებდით. ასე ვიყავი, სანამ ის შეჩვენებული ყინვა ქვეყანას გაურისხდებოდა. იმ ჩემ საწყალ შვილს გულში სრულიად შიში არ გაუტარებია, პირ იქით, რაც დღე და დღე ყინვა მუხრუქს ვეიქერდა, ის უფრო იმდენ სიმხნევეს იჩენდა. დილა აურიან შეიბერტყავდა თუ არა ფრთებს, თოვლით შებორბლილ და დაყრუებულ ტყეს გასცყიცლებდა და ნამდვილი გმირი იყო, როცა გარშემო სულ გაკმენდილ არე-მარეს მხოლოთ ყინვა ბატონობდა და ის კი ჭყივილით ხის კენჭეროზე შერხეული მაინცა მღეროდა და გალობდა. იმ დღეს კი უცებ მოიწყინა, მზის გულას იფნის წვერზე შეჯდა და დამამშვიდა: ნუ გეშინიან, ცოტა მუცელსა მგლეჯს და ამ ქედს მზე გაღმოადგება თუ არა—გამივლისო. გულგახეთქილმა სხვა რომ ვერაფერი ვერ მოვახერხე, იმის ჩუმათ, ერთი კალიის ფეხი მქონდა შენახული, ის გამოვიდე და ჯვარედინ გზაზე გავიტანე. გამიგონია ყინვის მეფეს. მიქელ გაბრიელის ცელად მოელანდება და მოტყდებაო. მაგრამ სახლში რომ დავბრუნდი, შენს მტერს და დამაწყევარს ისე დაუბნელდეს წუთისოფელი, როგორც მას შემდეგ მე დღე დამიბნელდა: საცოდავი ჩემი შვილი შემოდგომის ფოთოლივით მოწყვეტილიყო და ძირს ევდო.

ასე უთხარი, წყევლას არ დაგილევ, სანამ პირში სული მედგმევა-თქო“.



დაათავა ჩიტმა და თავ-შალის ფრიალით სარტყენწყლები, გაფრინდა. განცვიფრებულმა ნიკომ გზა განავრძო, მაგრამ დიდხანს ყურქებიდან მისი ქვითინი არ გამოსვლია.

— რა პატარა, რა უმნიშვნელოა და მაგასაც კი უმძლავ-დება ყინვის მეფე. არა, მართლა საშინელი ბოროტი ვინმე უნდა იყვეს ის ვიღაც არის; უნდა ვნახო, ყველაფერი უნდა შევიტყო, თორემ სწორედ გავვიუდები... და თუ ვნახე?!

და-მაცალოს!!

ასე დაემუქრა ნიკო და უფრო მხნეთ გასწია. შემდეგ დიდხან აღარ მოუნდა სიარული, რადგან წინათ შენიშნული მთა უფრო და უფრო დიდდებოდა და ჩასთან ერთად თვალ დასაბრძავებელ სურათათ იცქირებოდა. მოახლოვებისას ნიკო უცებ შესდგა, სიმკაცრე ერთ წამს აღტაცებათ გარდაექცია, მაგრამ გაახსენდა თუ არა იმ მშვენიერების წარმოშობილი მრავალი უბედურება, აღტაცება ისევ მღელვარებათ შეეცვა-ლა, უფრო ძლიერ გაგულისდა, რადგან იმგვარ დიდებას იმ-დენი მშუხარება მოჰქონდა. ნიკო მიუხალოვდა, რიხიანად შეხედა და მოემზადა.

თოვლით შებურვილ მაღალ მთაზე მზის სხივებზე მო-ბდელვრიალე ყინულის სავარძელზე ყინვის მეფე განცხრომი-ლიყო. თავით ფეხამდე თეთრიათ მოვარვარე ტანსაცმელში გა-მოწყობილს ხელში სკიპტრა ეპყრა და თავზე თოვლის გვირ-გვინი მზესავით უბრკვევიალებდა. მეფეს ღრმა ცისფერი თვა-ლები ზევით აღეპყრო და იმისთანა მშვენიერი იყო, რომ ნი-კომ ვედარ გაუძლო, შეხედა კიდევ და უეცრათ დამუნჯე-ბულმა ტირილი მორთო.

თვითონაც არ იცოდა, რისთვის ტიროდა, თუმცა ცხა-დი იყო, რომ ჩხელისათვის მოსული ძლეული იყო მისი მშვე-ნიერებით, მის უნახავათ იგი სძულდა, შავ ეშმაკათ ეხატებო-და და ის ბოროტის წარმოშობილი კი ისეთი თვალწარმტა-ცი მშვენიერება იყო.

— არა, ეს არ იქნება, არც შეიძლება, რომ ასე მშვიდი და გასაოცარი ქმნილება მიზეზი იყვეს ამდენი ბოროტებისა. — ასე გაიფიქრა ნიკომ და დასარწმუნებლათ, რომ გზა ასცდა და სხვა სამყაროს მოადგა, აქეთ-იქით მიმოიხედა. გარშემო ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ ცის ლურჯ სიღრმეში ჰაერის

მოძრაობა მუზიკასავით ისმოდა. მარჯვნივ უშველებელი უფრო მოძრაობა მთის გარშემო და თვით მთაზე თეთრი ჯარი იდგა უცხო და უთვალავი. მთის გადმოლმა კი მეფის ქვემოთ, ქარს თვისი უშველებელი ფრთხები მთიდან მთაზე გადაეწყო და უმოძრაოს თითქოს სთვლებიდა. არავითარი მოძრაობა, არც არავითარი ხმა დიდებულ სიჩქმეს არ არღვევდა. ნიკო შესკეროდა და ალტაცებას და განცვიფრებას უმოძრაოთ გაშეშებული ისე ძლიერ განიცდიდა, რომ თვითონვე საცა იყო თველის კაცათ გარდიქმნებოდა. ამ მოსახრებამ ნიკოს ლაზარივით გულს გაურბინა, შიშისაგან ცივმა ოფლმა გადაჰკრა; მოაგონდა, ვინც იყო იგი და ყოველივე თვალ წინ ნათლათ დაეხატა.

აგერ მეწისკვილე ბიძია, თავსგატეხილი მარო და აქვი- თინებული ბეღურა...

— შენ ეი, მეფევ, მყინვარო! შენი ბრალია ამდენი უსა- მართლობა. შენი თავი ალმასის გვირგვინით შეგიმოსია და იმ დღეს მაროს კი წყლის ძებნაში ყინულებზე თავ გატეხილს სისხლი სჩქეფდა. შენ მანდ წყნარათ, უდარდელათ ვარსკვ- ლავთ შესცინი და ბიძახემი კი ნალვლიანი შავ-მიწას ჩასჩე- რებია. არც ბეღურას წყევლა შეგრჩება შე...

ნიკომ უცებ სიტყვა შესწყვიტა და შემკრთალმა, შეში- ნებულმა ცოტა უკან დაიხია. ყინვის მეფემ უმოძრაო მშვე- ნიერი ლურჯი თვალები უცებ ჩახუჭა და ორი ცრემლი ბროლის მზგავსათ გაღმოაბნია.

მეფეც ტიროდა, მეფე ძლიერი და მიუწვდომელი. ტი- როდა უხმოთ, უმოძრაოთ და მწუხარე მზით განათებულ ცას შესკეროდა. ალბათ მეფე იმისთვის სწუხდა, რომ მეფე იყო და არავითარი ნება კი არ შესწევდა. ან ვინ იცის მეფობა სურდა, თუ უმნიშვნელო ქმნილებათ თავს ინატრიდა, მაგ- რამ დღეს კი მეფეთ იყო შექმნილი და მოახლოვებულ მზის სხივებზე მისთვის დნებოდა, რომ კვლავაც იმგვარივე წარმო- შობილიყო.

ნიკომ იმ წამს ნათლათ გაარჩია რომ მეფის გვირგვინში მობრკუვიალე ალმასები უმაღ ჰქებოდენ, თვით გვირგვინიც შესამჩნევათ ილეოდა და თითო წვეთათ მის გულ-მკერდს სან- თელივით ეღვენთებოდა.



— მაშ ამის ბრალი ორა ყოფილა, როგორ მუშადდებოდა კარგისა ვკითხო, რა უყო, რა ვქნა,— შეწუხებული ხვით წარმოსთქვა ნიკომ და ის იყო მზისათვის უნდა მიემართა გასაგებათ, როცა მას უცებ მრავალი ხმები შეესმა. ჩაიხედა ქვემოთ და დაინახა, რომ ყველა თითქოს გაცოცხლებულიყო იმ დროს, როცა მეფე პეტებოდა. აგერ ერთი ცვარი ყინულიდან ყინულზე სიცილით მიხტის, სიხარულით ტაშს უკრავს და გიემავობს.

მეორე თვალის დახამხამებაზე თითქოს კლდიდან გამოუნა, უცებ წამოხტა, ის მზგავს სახეზე ხელი გადისვა, კულულები შეისწორა და პირველ წვეთს ნაზათ ჰკითხა:

— შენ საღ მიდიხარ, რა დანიშნულება მოგანიჭეს, რომ ეგრე ძლიერ გიხარიან?

— ვერ წარმოიდგენ რა ბედნიერი ვარ, რამდენს ვივლი და ვიხეტიალებ, ვინ იცის რა არ უნდა მოვახდინო, მაგრამ ყველაზე საუცხოვო კი ის იქნება, რომ ერთ ბნელ სახლში ქრიდან უნდა ჩავდერე და შედონებულ პაწია ბავშვს შუბლზე დავეცე, ძლიერ ნაზათ მოვეხვიო და მით გავკურნო. შენა, შენ საითკენლა გაქვს გზა და კვალი?

— მე? ჩავკითხა იის მზგავსი მშენიერი წვეთი ისე ნაზათ და თან ისე ტკბილათ გაიღიმა, რომ ნიკოს ყოველივე მთლათ დაავიწყდა. მან ერთი ფეხი წინ წამოსდგა და როგორც დილა აღრიან მზის სხივებზე მზეუჭვრიტა გადმოხაროს, მათკენ ისე გადმოიზნიქა და ყური მის წყნარ ლაპარაკს ისე დაუგდო.

— მე უნდა ჯერ პატარში ნიავ-ქარივით ვისეირნო, იქ რომ მუსიკა ისმის—ის შევისწავლო; შემდეგ ლეჩაქის მზგავსად, მაღალ მთაზე. სადაც თუომე ძველი ციხეა ხავსით მოსილი, გვირგვინივით გარს მოვეხვიო და მზის ამოსვლისას კი იის გულ-მკერდზე განვისვენო. ისინი პატარძლებივით მოვექარგო, ციური მუსიკა ვასწავლო და ძილის დროს მათის ზღაპრებიდან ქვეყანა გავიცნო. შემდეგ... მაგრამ არიქა, ჩქარა გავიქცეთ, თორემ მოდიან, დანარჩენებიც მოგვაწყდებიან, გზას აგვიბნევენ და ჩვენში ხომ დაგვიანება არ შეიძლება.

უცებ გასწყვიტა ლაპარაკი იის მზგავსმა ცვარმა, უკან შარდათ მოიხედა, მეორე წვეთს ხელი ჩაჟკიდა და ორივ სიმ-

ლერით, ხტუნვა, სრიალით ძირს ჩამოქანდებ და სადაც უშლიოთ გაკერენ. მათ შემდეგ მართლა მრავალი სხვები გამოჩნდენ. ისმის დიდი ხმაურობა, ზოგან სიცილი, სიხარული და ზოგან რისხვა. აგერ ერთი, ძლივ-ძლიობისას მიღის ქვემოთ; თვალებზე ხელი მიუფარებია და მწუხარებისგან დასუსტებული წა-საქცევივით ირჩევა. ის ხან დადგება, მუდარებით უკან მი-იხედავს, მაგრამ რაკი ხსნას ვერავისგან ვერ მოელოდება, ისევ წინ წამოტორტმანდება და მოდის ნელა. თავპირი თიხის ფერი აქვს, ტანისამოსი ჩამოლორთხილი. თმა გაწეწილი და გაბუძგული.

— ნამდვილ ალს არა ჰგავს, ნერა რად ტირის.

გაიფიქრა ნიკომ, მაგრამ სანამ კითხვას დაამთავრებდა— მეორე მხრიდან დიდი ჩხუბით და წიოკობით ახლა სხვა წვე-თი ისე გამოხტა, თითქოს კეტით ვინშე გამოიგდოვო.

— არ მინდა, არა! რას ჩამოიყებიხართ, რა გინდათ ჩემ-გან, თქვე საზიზღრებო, ბოროტებო! მე იქ არ წავალ, მე არ მინდა ის ვიყო, რაც რომ თქვენ გინდათ.

წიოკობდა წვეთი და მეტი სიბრაზით დაჩითულ ახალ კაბის კალთებს ზედვე იხევდა და ვიღასაც უკანვე თავში აწ-უვეტდა. გაჯიუტებული წვეთი ალიაქოთით ცოტა ქვემოთ ჩამოსრიალდა და იქვე გამოქვაბულ ყინულზე ჩუმათ მიჯდა, უნდოდა ზედ მიკროდა, მაგრამ ამ წამს რაღაც ხმა შემოეს-მა და როგორც გიუ ერთ წამს ისე წამოვარდა, ტირილი მორთო, ივაგლახა და დაუყონებლივ კი ქვევით გასწია.

— შენ რაღა გატირებს, შენ რაღა თავი გამოიგიდვია, ვითომ სხვა რაღა გნებავდა—უკმერხათ შეეკითხა წიკვინა წვე-თი თიხის ფერს, როცა ვიწრო მისახვევში შეხვდა.

— რა ვქნა, რა უყო, ორნაირათ ვიტანჯები და ვეწა-მები, რადგან ვერ გამიგია რისთვისა ვარ ასე დაწყევლი-ლი და შეჩვენებული. რა მიმიძლოდა ჩემს გაჩენამდე ისეთი ცოდო, რომ დაბადებიდანვე მხოლოთ ბოროტის მოქმედება მე დამაკისრებს. მთელი გულით, მთელი ჩემი არსებით მსურს, რომ სხვა ვიყო, ბედნიერება და სიხარული ჩემივე სიკეთით მეც გამოვცადო, მაგრამ, როგორც მუდამ აი, ეხლაც ოკეა-ნესკენ მივემგზავრები, რადგან იქ ბობოქარ ტალღათა რის-ხვას ჩემი ძალასა აკლია, რომ ამ ცოტა ხანში, შორეულ

მხარეს მიმკურავ გემს შეა-დამისას დავეცეთ და დავამსხვრიოთ. უნდა მესმოდეს მრავალთა კვნესა, ვაი-ვაგლახი და მრავალი მათგანი კი თვით მე დავახრჩო. ამისთანა ტანჯვა და ჯოჯოხეთი განა კიდევ მოიპოვება; ვაი ჩემს თავს და ვაგლახი ჩემს უბედობას...

ხელმეორეთ აქვითინდა თიხის ფერი ცვარი და გზა ისევ ტორტმანით განაგრძო.

— შენ რა გიჭირს, დიდ ოკეანეში შენ თავისუფალი მაინცა ხარ და სხვებთან ერთად ძლიერი მაინც შეიქმნები; უბედური მე ვარ, რომ ბედისაგან შეჩერებული ქვეყნათ უმწეო და უმნიშვნელო უნდა ვძრწოდე, თითქოს რაღასაც ვეპოტინებოდე და კი არ ვიცოდე რისთვის და რად... მაგრამ არ წავალ, აქვე რომ სული დამალევინონ, ფეხს არ მოუიცვლი, სანამდისინ არ გავიგებ რისთვის მტანჯავენ, ამისთანას რისთვის მაჩენენ, როცა არ მინდა ისეთი ვიყო, როგორც მაგათ სურთ... არ მინდა, არა!

უარესათ გაჯიუტდა წიკვინა წვეთი და ის იყო უკანვე უნდა გამოტრიდალებულიყო, როდესაც უცებ საშინელი ხმა მოისმა: „ვერ გაიგებო“, და თან ისეთი დაიგრვინვა, რომ ნიკოს უცებ თვალი ღია დარჩა, გულ-გახეთქილი წამოხტა და მწუხარე ხმით ისეთი ტირილი მორთო, რომ ახლათ შემოსულ დედას შიშისაგან ენა მთლად აერია.

— ნუ გეშინიან, გენაცვალე, შეშა დავყარე და იმან დაიხმაურა... სხვა არაფერია, შენ შემოგველე. აბა შეხედე, აი ეხლა ცეცხლს დავაგუზგუზებ და შენ და ელენს ქადებს დაგიცხობ... სუ, შენ, გენაცვალე, შენი ჰირიმე.

ემუდარებოდა დედა ნიკოს და თვითონ უფრო შეშინებული გულში ისე მაგრა იხუტებდა, თითქოს გული ერთად ერთი წამალია ყოველისათვის.

ცემით.



წერილების და ფოსტის გაგზავნგამოგზავნის ისტორია.

ბერლინისა

(შემდეგი)



იდებული იყო სპარსეთთა მონარქია, აუარებელ
 ხალხს თავი მოუყარა თავის მფლობელობის ქვეშ,
 მაგრამ ის მაინც ვერ შეედრებოდა იმ სახელმწირ-
 ფოს, რომელიც შეჰქმნეს ორი-სამი საუკუნის შემ-
 დეგ რომაელებმა. ხმელეთთა შუა ზღვა თითქოს
 ტბათ გახდეს, რადგან ირგვლივ ყველა მიწები და სახელმწირ-
 ფოები მათ კუთვნილებას შეადგენდა. რომაელებმა თითქოს
 წაშალეს საზღვრები ჩრდილოეთ და სამხრეთ, აღმოსავლეთ და
 დასავლეთ შორის და დაიმონეს მთელი ქვეყნიერობა.

ამ ხალხთა შორის გაჩედა ერთობა და კავშირი.

არასოდეს არ ყოფილან ასე მჭიდროდ შეკავშირებული
 სხვა და სხვა ხალხი, როგორიც რომაელთა ცხოვრებამ
 შეჰქმნა. სამხედრო სამსახური და საახალშენების მოწყობა
 აიძულებდა რომაელებს ათასობით მიეტოვებინათ თავიანთი
 სამშობლო და გადახვეწილიყვენ ღროებით ან სამუდამოთ
 შორეულ ქვეყნებში.


აუარებელი ხალხი მიისწრაფებოდა იქითკენ, სადაც იმე-
 დი იყო, რომ გამდიდრდებოდენ, ასე რომ ნავთ-სადგური
 სავსე იყო ხოლმე ხომალდებით და მაშინდელ თანამედროვ-
 ებს ეწვენ ებოდათ, რომ ზღვაზე უფრო მეტი ხალხია, ვიდრე
 ხმელეთზე. იმპერიის ყოველ პროვინციას ჰქონდა თავისი სა-
 კუთარი კულტურული დაწესებულებები, სადაც ახალგაზრდო-
 ბა იკრიფებოდა განსავითარებლათ. ჩვეულებათ გაუხდათ უც-
 ხო ადგილებში და ქვეყნებში მოგზაურობა. ყველაზე უფრო
 ეტანებოდენ რომს, ამიტომაც ამას დაარქვეს სახელათ; „საქვეყ-
 ნო სასტუმრო“. რომიდან ხშირად მიემგზავრებოდენ მაზრებ-
 ში, აგრეთვე ერთი მაზრიდან შეორე მაზრაშიაც. საერთოთ
 ქვეყნები აღარ მოჩანდა ვიწროოთ და შეზღუდულათ.

ამ ახლო-მახლო და დაშორებულ მაზრებთა შორის განვიწყვეტეს მისვლა-მოსვლა ყველგან გააღვილებული იყო შვევენიერი გზების წყალობით. რომაელები მოხერხებული ისტარები იყვენ გზების გაკეთებაში. სადაც კი მივიდოდა რომაელი და დაიპყრობდა მიწას, მაშინვე შეუდებოდა გზების გაყვანას რომისაკენ. გზებს აკეთებდენ სამხედრო და სახელმწიფო საჭიროებისთვის; მიმოსვლა კი შეეძლო სუსყველას. მაშინ არ არსებობდენ საბაჟოები, და ამ გზებით თავისუფლათ მოჰქონდათ ვაჭრებს თავიანთი საქონელი, და ამ გზებზედვე მოგზაურობდენ ზექლებული რომაელები თავიანთი საკუთარი ეტლებით; გზებზედვე შეხვდებოდით სადგურიდამ სადგურამდე მიმავალს სახელმწიფო ფოსტას და შიკრიკებს. ამ შიკრიკებს ზოგჯერ შეხვდებოდათ დღეში 200 ვერსის გავლა. ერთხელ დიდ ზამთარში 69 წელს ქრისტეს დაბადებამდე რომში მოვიდენ შიკრიკები და ამბავი მოიტანეს, რომ ბელგიელები აჯანყდნენო. მათ ცხრა დღეში გაევლოთ გზა და ყოველ დღე ევლოთ 230 ვერსი. აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ ჩქარ-მავალ მოამბექბსაც არა ნაკლები სისწრაფით მოჰქონდათ ამბავი. ერთ მათგანზედ მოგვითხრობენ, რომ ერთ დღეში მან გაიარა 190 ვერსი, თუმცა ამის შემდეგ ვეღარ იცოცხლა. მეორე ჩქარ-მავალი, რომელიც ათინელებმა გაუგზავნეს სპარტანელებს მოგვეშველეთო, დღე და ღამეში გაიარა 220 ვერსი.

რომაელებს სამავალითოთ ჰქონდათ გამართული ფოსტა, მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებისათვის; კერძო ჰირს, განსაკუთრებული ნება-რთვა უნდა ჰქონდა, რომ შიკრიკის ხელით წერილი გაეგზავნა. მაგრამ თან და თან სხვა-და-სხვა მაზრები ისე დაუკავშირდენ ერთმანენს, რომ ხალხი ვეღარ გასძლებდა, რომ ერთმანეთისთვის არ მიეწოდებინათ წერილები. ვაჭრებს მიწერ-მოწერა ჰქონდათ თავის საქმეების გამო; გაიმართა მიწერ-მოწერა მეგობრებ და ნაცნობებ შორის. მშობლები შორეულ კუთხეებიდან თავიანთ მოსწავლე შეილებს სწერდენ ქალაქებში წერილებს.

ჯარის კაცი დიდი ხნობით დაშორებული ოჯახს უგზავნიდა მას ბარათს. ასეთი წერილების გასაგზავნათ ყოველ-თვის იყო ხოლმე შემთხვევა, რადგან მისვლა-მოსვლა ხშირი იყო და თუ შემთხვევა არ მიეცემოდათ, მაშინ გაგზავნიდენ

ერთ-ერთ მონას, რომელიც ბევრი ჰყავდათ შეძლებულ მაელებს. ახალი ამბების შეტყობის წყურვილი მაშინაც ნაკლები არ იყო, ვიდრე ეხლა და რომალები დაფანტულნი მაზრებში, მოშორებულნი დედა-ქალაქს, ქირაობდენ ვინმე წერა-კითხეის მცოდნეს, იმ პირობით, რომ მას ეცნობებინა მათვეის ყოველი ახალი ამბავი. ესენიც, რომ ლუკმა პური არ დაჰკარგოდათ, მთელ დღებს სირბილში ატარებდენ, დადიოდენ მოედნებზე, ცირკებში, თეატრში, ახალი ამბების შესაკრეფათ. მერე სწერდენ წერილს, ყოველისფერს ატყობინებდენ: როგორ ითამაშა ამა თუ იმ მსახობმა, ცირკში რომელმა გლადიატორმა გაიმარჯვა, ვინ მოკვდა, როგორ დამარხეს, გადასცემდენ ყოველნაირ ხმებს, ჭორებს. ისინი ხოლმე მარტო რომის ახალ ამბებს კი არ ატყობინებდენ, სხვა კუთხეებიდანაც მოსულ ამბებს უთვლიდენ, „თითქოს ფრინველებს მოაქვს მთელ დედა-მიწიდან ამბებით“. ამბობს ერთი დროის მწერალი. მოვიდოდა თუ არა წვიმა, როგორც იშვიათი შემთხვევა ეგვიპტეში, მოხდებოდა თუ არა მიწის ძვრა მცირე აზიაში, აჯანყდებოდა თუ არა ჯარი მდინარე რეინზე, გამოსცვლიდა თავის პოლიტიკას აღმოსავლეთის რომელიმე მფლობელი — რამოდენიმე დღის შემდეგ მოჰყვებოდენ ყველგან — მოედნებზე, ყაბახებზე, წვეულებაზე, საცა კი შეკრებილება იყო და ყველა ეს ამბები ვრცელდებოდა აქედან წერილების საშვალებით.



წერილებს სწერდენ ეგვიპტედან მოტანილ პაპირუსზედ,



ან გასანთლულ პატარა ფირფიტოებზე, რომელიც შევგვანებული ბოლა ჩვენ დაფას, მერე უკულმა პირით, ერთი-მეორეზე და-წყობდენ, წმინდა კანაფს გაუყრიდენ და ისე დაბეჭდავდენ, როგორც ზემო მოყვანილ სურათზეა ნაჩვენები:

ბევრმა ასეთმა წერილებმა მოაღწია ჩვენამდე. ეს წერი-რები ჩვენ გვიმტკიცებს თუ რამდენათ გავრცელებული იყო იმ დროში წერილების მიწერ-მოწერა. „იკოდე, მე ძალიან ვდარდობ, როდესაც ვინმე მოვა თქვენი მხრიდან და არ მომი-ტანს თქვენ ბარათ“ ს ასე სწერს ერთი შვილი თავის დებას. მეორე თავის დას სწერს: „მიკვირს, რატომ არა მწერთ არა-ფერს, აქეთ მხარეს თქვენები ხშირად მოდიან“. კარგი მე-გობრები ერთმანეთს სწერენ დღეში საზჯერ. წერილები იწე-რებოდა დიდი სიყვარულით და მეცადინეობით. თუ წერილის დამწერი ვინმე გამოჩენილი კაცი იყო, მისი წერილი გადადიო-და ერთი ხელიდან მეორეში, მას გადასწერდენ, ჰკითხულობ. დენ; ამ გვარ წერილებმა მეგობრებთან სახელ-განთქმულ რო-მაელ ორატორისა და მწერლისა, ციცერონისა მოაღწია ჩვე-ნამდის, როგორც ლიტერატურისთვის დიდათ გამოსაყენ მასალამ.

არა მარტო გამოჩენილი პირების წერილებია საყურად-ლებო, სულ უმნიშვნელო წერილებსაც აქვს ღრმა მნიშვნე-ლობა, რადგანაც ახლა თითქოს ცოცხალი იღამიანის ხმა გვესმისო და სრულებით გვავიწყდება რამდენმა საუკუნეებმა გაიარა იმ დროიდან ჩვენამდე. ასეთ მაგალითს წარმოადგენს პატარა ბარათი, რომელიც პატარა თეონმა მისწერა დიდის ამბით მამას. მამამ მოატყუილა ის და არ წაიყვანა თან ქალაქში. გამოუცდელი ხელით, გაჯავრებული თეონი ასე სწერს: თეო-ნი მამას თეონს—სიხარულს. (ასეთი მიმართვა ყოველ წე-რილში იგულისხმება—სიხარულს უსურვებო) კარგათ მოიქე-ცი განა რომ არ წამიყვანე ქალაქში... თუ მართლაც არ წამიყვან, წერილს აღარ მოგწერ, აღარ დაგელაპარაკები და აღარც გისურვებ ჯანმრთელობას. მეორეთ რო წახვალ, აღარ გამოგემშვიდობები, აღარ გისურვებ ბელნიერებას. ნა-ხავ, თუ ასე არ ვიქ, აბა ნუ წამიყვან ქალაქში. დედამ უკვე სთქვა: „მომაშორეთ, შემაწუხაო“. კარგად მოიქეცი განა, სა-ჩუქრები დამიტოვე, რათ მინდოდა, გვონია დრდათ ვაფასებ,



წერილების და ფოსტის ისტორია.

ლაპარაკით შემიყოლის და შენ გაიპარე. გამოგზავნე ვინმე ჩემ წასაყვანათ, თუ არ გამოგზავნი, აღარც ვჭამ და აღარც ვსვამ, იცოდე... ვისურვებ იყავ კარგათ.

თვრამეტმა საუკუნემ განვლო, რაც ეს წერილი დაწერილა, და თითქოს ეხლაც ცოცხალია ეს განებივრებული თეონი და ებრძვის თავის ძიძა-გამდლებს. გარბის საუკუნოები, დედამიწა ბერდება და ბავშვები კი თითქოს სრულებით არ იცვლებიან.

ალ. ფალავა.

(დასასრული იქნება)



ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა

(თომა-ალვა ედისონი)



ამ ლაბორატორიის გარეგანი არა-
ფერი შესანიშნავი არ არი, მხო-
ლოთ გარშემო მეტათ მაღალი
გალავანი არტყია, თითქოს იმი-
ტომ, რომ შიგ არ შევიდენ ცუდ-
უბრალო მოხეტიალე ხალხი, რო-
მელნიც მერე იკვეხიან: ედისონ-
თან ვიყავითო.

ალაყაფის კარებთან ზის კარის
მცველი, რომელსაც სასტიკათ ნაბრძანები აქვს, — უბილეთოთ
არავინ შეუშვის.

ერთხელ მოხდა ისე, რომ კარის მცველმა, რომელსაც
იციდა კაცელა წესები, ადგილს თავი დაანება და იმის მაგივ-
რათ ახალი დანიშნეს. მასაც დაავალეს სასტიკათ, არავინ შე-
უშვას ვინც ბილეთს არ უჩიენებს.

ერთ მშვენიერ დილას, ჯერ სულ ახლათ იყო დაყენე-
ბული ეს კარის მცველი, ალაყაფის კარს მოადგა უბრალოთ
ჩატმული კაცი და სთხოვა: გამაჟარეო.

— გაქვს ბილეთი? ჰქითხა კარის მცველმა.

ამას არ ჰქონდა, რასაკვირველია, ბილეთი.

— მაშ არ შეგიშვებ.

ამ უცნობს ძალიან უნდოდა ლაბორატორიაში შესვლა,
მაგრამ თხოვნა-მუდარამ არ გასჭრა. რომ ვერა გააშუროა თა-
ვისი სახელი უთხრა.

— ედისონი ვარ...

კარის მცველმა ზიზლით ახედ-დახედა თავით ფეხიმდის
და უთხრა:

— ვითომ და თქვენა ბრძანდებით ედისთნი?

— ხო, მე ვარ.

კარის მცველმა ერთი კიდევ შეხედა მის ძველ ტანისა მოსს და დაცინვით უთხრა:

— უკეთეს ვერას მოიგონებდით!

ედისონი კა გუნებაზე იყო და უთხრა:

— წადი ლაბორატორიაში და მოიყვანე ვინმე, ვინც მე მიცნობს.

— ნურას უკაცრავოთ, ვერ მომატყუებთ. მე რომ იქ წივალ თქვენ შეიპარებით. აგრეც სულელი არა ვარ, რომ მა-ტყუებთ. იცით რას გეტყვით: თუ მართლა ედისონი ხართ, თქვენი კარის მცველის სახელიც გეცოდინებათ. მითხარით, რა მქინან და შეგიშვებთ.

საუბედუროთ ედისონმა არ იცოდა, რა ერქვა ამ კაცს და მას ცხვირ წინ კარები ჩაუკეტეს.

პატარა ხანს შემდეგ ედისონის თანაშემწე გამოვიდა ლა-ბორატორიიდან და რო დაინახა ედისონი, გამოეხმაურა.

ძნელი წარმოსადგენია რანაირათ შეშინდა, შეკრთა კა-რის მცველი, რომ ძველი ტანისამოსით უცნობი მართლა ედისონი გამოიდგა.

მაგრამ ედისონს გაეცინა, შეშინებულს მსახურს მხარ-ზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ძალიან მუყაითი მცველი ყოფილხართ! დაიჭით ეს ფული და ყველას ისე მოექეცით, როგორც მე მომექეცით დღეს.

ედისონს და მის თანაშემწებს არ უყვართ ზარმაცი, მო-სეტიალე ხალხი, რომელნიც უშლიან იმათ მუშაობას.

ცოცხალი სურათები.

ედისონმა განიძრახა 1887 წელს მოეგონა ისეთი მან-ქანა, რომელიც ადამიანს თვალით დაანახვებდა უველავერს ისე, როგორც მაგალითთ ფონოგრაფმა იცის სმენის საშუა-ლებით უველავტრის გადაცემა.

რასაკირველია ფოტოგრაფიის წყალობით სახეების გად-მოცმა მყტათ საყურადღებო გამოგონებაა, მაგრამ ფოტოგრა-ფიული გამოხატულება უსისხლ-ხორცია. მას შეუძლიან მხო-



ლოთ ერთი წუთის მოძრაობა გადმოგვცეს და არა შემოღებულ მოძრაობა. ფოტოგრაფიას შეუძლია გვიჩვენოს მხედარი და ცხენი სწორეთ იმ დროს, როდესაც განსაცდელის ასაცდენათ აპირებენ გადახტომას, მაგრამ თვით ცხენის და მხედრის გა-დახტომას, როგორ მიჰქოის განსაცდელისაკენ, მერე როგორ გადახტომით დაბრკოლებას ოცილებს თავიდან და განაგრძობს გზას — ყველა ამას ფოტოგრაფია ვერ გადმოგვცემს.

ტალღების მოძრაობა, რომელიც ენეთქებიან დედა-მიწის ნაპირებს, ადამიანის მიმოსვლა, ფრინველთა ფრენა ფოტოგრაფიაზ შეუძლებელი რომ დაგვანახეოს. 1887 წლი-დან ედისონი სულ იმ ფიქრში იყო, როგორ მოეხერხებინა ამ ნაკლის აშორება.


ბერი მარცხის შემდეგ გამოკვლევამ მოლოს ედისონი მიიყვანა იქამდის, რომ მან გამართა ორი ისეთი მანქანა, რომლებიც ერთმანერთს რომ მიაკარებდენ ცოცხალ ფოტო-გრაფიას იძლეოდა. ერთი მანქანის სახელია კინეტოგრაფი, რომელიც იღებს და გადასცემს მსგავსებას, რომელიმე მოვ-ლენას, ფირფიტოებზე, მეორეს სახელია კინეტოსკოპი, რო-მელიც თვით მაჩვენებელია.

კინეტოგრაფს, რომელიც იბეჭდავს ყველა მსგავსებას და მოვლენას შეუძლიან ერთ წუთში 46 ფოტოგრაფიული ფირ-ფიტო მოგვაწოდოს და რომელიც ერთ წამში შეაღგენს 2700 მსგავსებას. ამ გვარათ ედისონმა შეიძლო ჩვენთვის მოეცა რომელიმე მოვლენის საჩვენებლათ ხუთი წამის განმავლობაზ ში, ერთი მეორის მიყოლით 14,000 გამოხატულობა.

მაგრამ ამოდენა გამოხატულობის მიღება არ იყო საჭი-რო, რადგან ადამიანის თვალები ვერც აიტანდნენ ამისთანა სისწრაფით სურათების დანახვას. ამიტომ ედისონმა ფირფი-ტოების რიცხვი შეამცირა ერთ წამში ხუთმეტამდის.

რომელიმე მოვლენის მოძრაობას ჯერ ფოტოგრაფიუ-ლათ აიღებენ გრძლათ გავლებულ ესრედ წოდებულ ცელლუ-ლონიდინის ზოლზე, მერე დიდი სინათლის შემწეობით გარდაი-ცემა სწორ, უხორკლო და სრულებით თეთრ აღგილზე, თუნდა გაჭიმულ ტილოს ნაჭერზე.

ედისონმა თავის ლაბორატორიაში გამართა პატარა თეატრი, რომელშიაც თავის გამოკვლევებს ახდენდა. ამ



თეატრის სცენაზე, სადაც თეატრი ტილო იყო გაჭიმული ედისონი უჩვენებდა სხვა და სხვა ბუნების მოვლენებს, შემთხვევებს, რომელიც თავდაპროველათ კინეტოგრაფმა აღმარცვა.

ამ გვარათ ეს პატარა თეატრი ედისონისთვის ლაბორატორიაც იყო. აქ იმართება წარმოდგენა, რომელიც აღნიშნულია დიდი სისწრაფით და წეს-რიგით ფირფიტოებზე.

ერთხელ ედისონმა მოიწვია თავის ლაბორატორიაში ინდოელების მთელი კრება და სთხოვა, რომ მათ ეჩვენებინათ იმისთვის თავაანთი საყურადღებო ჩვეულებები, ცეკვა და თამაშობა.

ინდოელები დიდის სიამოვნებით დათანხმდენ და დაიწყეს ედისონის წინ ცეკვა, ხტუნაობა, სირბილი, თამაში, თავიანთ კომბლებს ჰაერში იქნევდენ, დიდი სისწრაფით ტრიალებდენ და რასაკვირველია ფიქრათაც არ მოუვიდოდათ, რომ ამ დროს კინეტოგრაფი დიდი გულმოდგინეთ ბეჭდავდა ყველაფერს თავის ფირფიტოებზე. არც ერთ მათ ნახტომს, არც ერთ მათ მოძრაობას, რაც სცენაზე ხდებოდა, არ სტოვებ-და იღუნიშვნავათ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ერთი მეორეს მიმყოლი გამოხატულობა, რასაც ინდოელები ადგენდენ სცენაზე გადატანილი იყო ცელლულოიდინის ზოლზე, ლენტზე, და უნდა კინეჭოსკოპის საშუალებით ეჩვენებინათ ტილოზე ედისონმა მოწვია ისევ ის ინდოელები თავის თეატრში.

ინდოელები რასაკვირველია ვერ წარმოიღენდენ რა მოელოდათ მათ და დამშვიდებულები ჩამწკვრივდენ თეატრის დარბაზში.

თეატრი სრულებით დააბნელეს. თეორ ტილოზე, რომელიც გაჭიმული იყო მთელ სცენაზე, გამოჩნდენ რაღაც ჩრდილები, ჯერ სულ ბურუსით მოცულნი, მაგრამ ეს ჩრდილები ცოტ-ცოტა გაცხოველდა, ბოლოს გამოჩნდენ ვიღაც კაცები, რომლებიც ცეკვამდენ კომბლებს იქნევდენ, ერთი სიტყვით იტყვოდით ინდოელები არიან სცენაზეო.

ზარ დაცემულნი ინდოელები უყურებდენ ამ თვალთ-მაქ-ცურ სანახაობას, და როდესაც ბოლოს ნათლად დაინახეს, რომ ეს კაცები, რომელნიც ცეკვამენ და ხტიან ამ ტილოზე თითონ არიან საშინლათ ელდა ეცათ, ისინი ლმუილით



ზეს წამოვარდენ, სკამები პირქვე მოაქციეს, ჟულიუსი
ააფორიაქს და ისე გავარდენ გარეთ. მას აქეთ რასაკვირვე-
ლია კაცი მათ ფეხს ველარ შეაღმევინებდა ამ მოჯადოებულ
სახლში.

როგორც ედისონმა ამ გვარი ფოტოგრაფიით მოახერხა
ინდოელების ჩვეულების გადაღება ისეც მან, თუმცა დიდი
გაჭირებით, ამგვარივე საშუალებით წარმოგვიდგინა, რაც ხდება
წყლის ერთ წვეთში. ყველა ჩვენგანმა კარგათ იცის, რომწყლის
წვეთში, რაც უნდა პატარა იყოს წვეთი, ცხოვრობს მილიონზე
მეტი უფრო პატარა ცხოველი ინფუზორია, და მათ თავიანთე-
ბური საიდუმლოებით მოცული ცხოვრება აქვთ; ამ ცხოვრების
დანახვა, რომელიც არის ყველასთვის დიდი საყურადღებო, და
რომელიც აქამდის შეეძლო მხოლოდ სწავლულს, ისიც ძა-
ლიან გამაღიდებელი შუშის წყალობით—გვიჩვენა ედისონმა.

ახლა ედისონის წყალობით თეთრ ტილოზე ცოცხლად
მოსჩანს წყლის წვეთი, ვხევავთ, როგორ ათასგვარი პარაზ-
კინტელა ცხოველები ირევიან წინ და უკან, აქეთ იქით და
როგორ ერთმანეთს ეცემიან, ებრძვიან, სანამ ღონიერი არ
შესჭამს ულონოს.

ამ სანახაობას ყველა ღიდი ყურადღებით თვალს აღვცნებს, რადგან ჩვენ თვალ წინ გადიშლება ქვეყნიერების ფარული საიდუმლოება.

၁၆. နိုင်ငံတော်ဝန်ဆေ.

(შემდეგი რქნება).



მიმდებარებულ 1914 წლის 1 თებერვალი.

კუთხების სამონიტო და სადირენატურა გაზეთი გვირჩევის სამიზანი

საქართველოს განვითარების სამიზანი

წელიწადი მეტეთე.

შოთავალ 1914 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა და გაზეთს ექვება კვირაობით

საქართველოს დამატება.

1914 წლის ხელის მომწერნი, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიმღებენ პრემიად

ს ა მ ს დ ი ბ ს .

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ლირს 8 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 გ. ნახევარი წლით ტფილისში 4 მან. 50 კაპ., საზღვარ-გარედ 7 გ. 50 კ., ერთი თვით ტფილისშა 75 კ., საზღვარ გარედ 1 მან. 25 კაპ.

ცალკე ნომერი უვეჯვან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მოიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ГАЗЕТИ“ почтовый ящикъ 190.

Открыта подписка на 1914 годъ
на газету

„Закавказская Рѣчъ“

(Годъ изданія шестой).

Подлинная цена

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
” полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
” 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
” 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчъ“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчъ“. Редакторъ Д. М. Думбадзе. Издатель Э. З Горделадзе.



ჯ ე ჯ ი ლ ი

საქართველოს ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა გვერდი ფასიაზე.

შემოსილი დარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1914 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განცოდილება, პარტყვანისათვის და მოზრდილოთვის.

შერნალი «ჯ ე ჯ ი ლ ი» თბილისში ერიოება
ჭ მან, ქადაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ფალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიღება: თბილისში — „ჯ ე ჯ ი ლ ი“ რედაქციაში,
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ქადაქ გარეთ მცხოვრებლებს ძეუძლიანთ მიმართონ:

ქუთაისში — სიდორე კვიცარიძეს.

მიხაილოვში — ვლად. ჩიქოვანის.

სამტრედიაში — რაფდენ ნანეიშვილს.

სილნალში — ქ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და — ნიკო წუწუნავის.

ფოსტის აღმენი: Въ тифлисѣ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემის ან. თუმართვილი წერეთლისა.

ჯ ე ჯ ი ლ ი 1914 წლის სექტემბერის

ვინც ჟურნალის უასს სრულად გადაიხდის
საჩუქრათ გაეგზავნებათ

დასურათებული წიგნი.

„ც უ ნ წ უ ლ ა“